K 9670/1

ასტვაცატუროვი

# შიო მღვიმელი

ბიოგრაფიულ-კრიტიკული
ნარკვევი

საბლიტგამი
თბილისი
1947



# შესავალი

შიო მღვიმელი ქართული საბავშვო პოეზიის აკაკია. ძნელია მოინახოს მეორე პოეტი, რომელსაც ასე ღრმა კვალი დაეჩნიოს საბავშვო პოეზიის განვითარებისათვის და ასეთი პოპულარობა მოეპოვებინოს ნორჩ თაობაში.

შიო მღვიმელმა შესანიშნავი საბავშვო პოეტის სახელი მოიხვეჭა იმ პერიოდში, როცა ჩვენი ლიტერატურის კორიფეები—ილია, აკაკი და ვაჟა მოღვაწეობდნენ. შიოს შემოქმედებას მათი პოეტური ნათელი ადგა თავს, მათგან იყო შთაგონებული. ამ დიდი მგოსნების გავლენამ ხელი შეუწყო ორიგინალური ნიჭის პოეტს საკუთარი სიტყვა ეთქვა, საკუთარი სახე შეექმნა, გამხდარიყო ქართული საბავშვო პოეზიის ერთი თვალსაჩინო ფუძემდებელი.

ლიტერატურის ეს ნაზი და სათუთი სფერო თავიდანვე გადაიქცა შიო მღვიმელის შემოქმედებითი მოწოდების

საგნად, მისი ადამიანური და მოქალაქეობრივი სულის ნაწილად. ბავშვი, მისი მაღალზნეობრივი აღზრდა, — პოეტის შემოქმედებითი სტიქიის მასაზრდოებელი წყარო იყო. ამიტომ მისი პოეზია ისევე სუფთაა და წმინდა, როგორც ბავშვის სული.

შიო მღვიმელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საბავშვო მწერლობას, საერთოდ, ეროვნული კულტურის განვითარებისა და ცივილიზაციის საქმეში. ამიტომ საბავშვო ლიტერატურას იგი დიდ მოთხოვნილებას უყენებდა და საბავშვო მწერალს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა. მისი აზრით, საბავშვო მხატვრული ნაწარმოები, როგორც ფორმით, ისე შინაარსითა და იდეით, ეროვნული მხატვრული კულტურის სიმაღლეზე უნდა მდგარიყო. თვითონ პოეტი ბევრს მუშაობდა იმისათვის, რომ ქართული მწერლობა მაღალმხატვრული, ჭეშმარიტი საბავშვო პოეზიით გაემდიდრებინა; მან გამოიმუშავა საბავშვო ლირიკული ლექსის ფორმა, ბავშვის ბუნებასთან შეფარდებული ეპიური თხრობის თავისებურება. საბავშვო ლექსი უაღრესად გაასადავა და ამით მიაღწია მის უდიდეს მხატვრულობას.

საბავშვო მხატვრული ნაწარმოები განსხვავდება არა მხოლოდ შინაარსით, არამედ ფორმითაც. ფორმა მისი მთავარი განმასხვავებელი ფაქტორია, დღესაც ბევრს არ ესმის, თუ რატომ გაასადავა შიო მღვიმელმა ლექსი ასეთ „სიმარტივემდე“. ბავშვს არა თუ არ უყვარს, მისთვის სრულიად გაუგებარია და მიუწვდომელი რთული მეტაფორები, სიმბოლიური სახეები, შედარებები. შიო მღვიმელმა შესანიშნავად იცოდა, რომ ბავშვთან თითქ-

მის ყველა თემაზე შეიძლება საუბარი, მხოლოდ საჭიროა მისთვის გასაგები საუბრო ფორმის მონახვა, ისეთი ფორმის მონახვა, რომელიც გასაგებიც იქნება და გაიტაცებს კიდეც ბავშვს. შიოს მხატვრული შედარებები სადაა და არასოდეს არ სცილდებიან ბავშვისათვის ცნობილ საგნებს, მოვლენებს. შიომ საბავშვო პოეზიაში დაამკვიდრა თხრობისა და მოქმედების ცოცხალი ხატვის მეთოდი.

ასეთია შიო მღვიმელის პოეტური მეტყველება. მისი პოეზია ჭეშმარიტად საბავშვოა შინაარსითაც, ფორმითაც. მუდმივი შემოქმედებითი შთაგონებით აღგზნებულ პოეტს არ იტაცებდა ფრაზათა და გამოთქმათა ელვარება, ამაღლებული პათოსი. მისი ლექსის სამკაულს შეადგენდა ნაზი და სადა ფერები. შიო მღვიმელის ლექსი უაღრესად პოეტურია, მაგრამ მარტივი, ამავე დროს—ძარღვიანი, ლაღი, ხალისიანი.

შიო მღვიმელი სამწერლო ასპარეზზე „შეუმჩნევლად", უხმაუროდ გამოვიდა. იგი უაღრესად მოკრძალებული იყო პირად ცხოვრებაში და ასეთადვე დარჩა შემოქმედებაშიც. მოღვაწეობდა დაუღალავად, სრული პოეტური ალმაფრენით და უანგაროდ. პოეტური და ადამიანური ღირსებით სულ მალე შეიქნა საყვარელ პოეტად. ყველა ბავშვიან ქართულ ოჯახში მისი კულტი იყო გამეფებული. როცა საბავშვო ჟურნალი—„ჯეჯილი", ან „ნაკადული" გამოვიდოდა, პირველ რიგში შიოს ლექსებს ეძებდნენ მათში, და უკითხავდნენ ბავშვებს, ზეპირად ასწავლიდნენ.

მაგრამ მეოცე საუკუნის რევოლუციამდელი ლიტერატურული საზოგადოებრივობა სათანადოდ ვერ აფა-

სებდა ეროვნული კულტურის ამ ჩუმსა და უანგარო მოჭირნახულეს. ლიტერატურულმა საზოგადოებამ შიოს მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება, როცა დიდმა ვაჟამ საჯაროდ გამოსთქვა აღშფოთება და გულისწყრომა:

„სირცხვილი ქართველებს, — სწერდა იგი მაშინდელი ქართველი მწერლების მისამართით, — რომლებიც არ აფასებენ და არ იცნობენ თავის დიდ შვილს და პირველხარისხოვან პოეტს—შიოს“.

ვაჟამ გაალღო ყინული!

შიო მღვიმელი სწრაფად აღიარეს. ამის შემდეგ მისი სახელი ჩვენი პოეზიის ჰორიზონტზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა!

1916 წელს მადლიერმა ქართველმა ხალხმა უდიდესი სიყვარულით აღნიშნა პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავი.

# ცხოვრება

ჭეშმარიტმა პოეტმა ცხოვრების არაპოეტური გზა გაიარა. ბავშვობიდან ხანდაზმულობამდე მრავალი მძიმე დღე გაატარა: მდიდარი სულის შიო ადრე დაობლდა და, ისედაც ღარიბი ოჯახის შვილი, ხელმოკლედ ცხოვრობდა... დაწვრილშვილებული პოეტი ლუკმა-პურისათვის მძიმე და შეუფერებელ შრომას ეწეოდა... გულს მაინც არ იტეხდა, ბულბულივით შთაგონებული მღეროდა დაუსრულებლად და თავის ნორჩ მკითხველს წრფელი და სპეტაკი გრძნობებით აღაგზნებდა.

შიო მღვიმელი დაიბადა 1866 წელს, ზემოქართლში, სოფ. ბრეთში (ქარელის რაიონი). პოეტის მამა ილარიონ ქუჩუკაშვილი სოფლის ღარიბი მღვდელი იყო. მას მცირე, შინაური განათლება ჰქონდა მიღებული. შიოს მამას სამრევლო შემოსავლით არ შეეძლო მრავალსულიანი ოჯახის რჩენა და ამიტომ სოფლის მეურნეობასაც ეწეოდა.

ბრეთი ქართლის ტიპიური სოფელია. იგი მდებარეობს მტკვრის მარცხენა მხარეს, ქარელიდან ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე. ბრეთს გარს არტყია ლამაზი ბაღნარი სოფლები. ჩრდილოეთით დაჰყურებს თოვლის ჭაღარით მოსილი კავკასიონის ქედი, სამხრეთით კი თრიალეთის ამწვანებულ მთას გასცქერის.

შიო, დედის—პელაგიას გადმოცემით, — დაბადებულა თებერვალში, ყველიერის ხუთშაბათს, შიოობა დღეს. ბავშვისათვისაც, ამიტომ, მშობლებს შიო დაურქმევიათ. შიო სამ ძმაში ყველაზე უმცროსი ყოფილა. მისი დაბადებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ილარიონ ქუჩუკაშვილი სოფელ ვარიანში დაუნიშნავთ მღვდლად და ოჯახიც საცხოვრებლად იქ გადასულა.

ვარიანი იაკობ გოგებაშვილის სამშობლო სოფელია. ის, შეიძლება, ჩვენი პოეტის მეორე სამშობლოდაც ჩაითვალოს, რადგან აქ გაატარა მან თავისი ბავშვობის დიდი ნაწილი.

ვარიანი ლიახვის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს, გორიდან სტალინირის მიმართულებით. ახლა მას მარცხნივ რკინიგზა ჩაუდის. სოფელი გაშენილია ლიახვისა და რკნიგზის შუა ხელისგულივით გაშლილ ტაფობზე, ხეხილის ლამაზ ჭალაში.

ბავშვობა შიო მღვიმელმა ბრეთსა და ვარიანში გაატარა. დაახლოებით შვიდი წლისა იქნებოდა, როცა უფროსმა ძმამ, სოფლის მასწავლებელმა გიორგიმ, თავისთან წაიყვანა შილდაში (ყვარელის რაიონი). აი რას მოგვითხრობს პოეტი ამ პირველი მგზავრობის შესახებ:

„ძმამ წამომიყვანა ვარიანიდან მარიამობისთვის მიწურულში. პირველად ჩავჯექი მატარებელში გორის სადგურზე, თბილისში ჩამოვხტით ავლაბარში და ღამე,

ეგრეთწოდებულ „კისერას ბაკში“ გავატარეთ. მანამდე არ ვიცოდი, რა იყო ბაღლინჯო. მთელი ღამე თეთრად გავათენე, შამფურივით ვტრიალებდი... ვტიროდი“.

როგორც იქნა გათენდა.

მეორე დილით ორი ცხენი შეკაზმეს და გიორგის ერთ ნაცნობ თათართან ერთად გომბორის გზით კახეთისაკენ გაემგზავრნენ. პატარა შიო ხან ძმას უჯდა უკან, ხან მის ნაცნობს. პირველი ღამე თელავში გაატარეს. მეორე დღეს დილით შილდის გზას გაუდგნენ, ალაზნის ველზე რომ გავიდნენ, ბავშვის ყურადღება ალაზნის ხიდმა მიიპყრო, გააცვიფრა მისმა სიდიდემ. ბრეთისა და ვარიანს შუა, სადაც ბავშვს ხშირად უხდებოდა სიარული, პატარა მდინარეები ჩამოდიოდნენ და იმ მდინარეებზე გადებული ბოგირების შემდეგ პირველად ხედავდა ასეთ დიდ ხიდს.

შიო მოუთმენლად ელოდა შილდაში მისვლას. ხანგრძლივ მგზავრობას შეუჩვეველი ბავშვი დაიღალა, ელოდა დასვენებას, მაგრამ მის იღბალზე, შილდაში მისვლისას სოფელი აფორიაქებული დახვდათ ლეკების თავდასხმის მოლოდინში: „თურმე ლეკები მოდიოდნენ შილდაზე დასაცემად, — იგონებს შიო, — და მთელი სოფლის ხალხი იქაურ სიმაგრეში—„გალავანში“ შეხიზნულიყო და ჩვენც, ჩემი ძმის ოთახის მაგივრად, გალავანში შევედით და იქ დავისადგურეთ“.

ერთი თვე გაატარა შიომ გალავანში. ძმა ხალხთან ერთად სულ მუდამ გალავანს იცავდა და ბავშვს სოფლის ქალები პატრონობდნენ. ისე უვლიდნენ და ეალერსებოდნენ, რომ არც კი უგრძვნია, თუ რას მოასწავებდა ყოველივე ის, რაც მათ გარშემო ხდებოდა. მალე შიოს ტოლამხანაგებიც გაუჩნდნენ, გამოცოცხლდა,

გამხიარულდა და ახლა თავს ისე შინაურულად გრძნობდა, როგორც მშობლიურ სოფელში.

„უდარდელად ვერთობოდი ჩემს ტოლებთან,—იგონებს შიო,—სრულიად არა ვფიქრობდი არც ომზე, არც მტრის საშიშროებაზე; ან კი რა უნდა მეფიქრნა, მეტადრე მაშინდელ ბალღს, ისიც ქართლელს; ბრეთსა და ვარიანში წელიწადში ერთხელ ან ორჯელ თუ გავარდებოდა თოფი. ამ სოფლებს ტყე არა ჰქონდა ახლო და მონადირეებიც არ იყვნენ".

ერთი თვის შემდეგ ყველაფერი დამშვიდდა და შიოც გიორგიმ თავის ბინაზე გადაიყვანა. პირველ ხანებში პატარა შიოს უდედობა აწუხებდა, მოწყენილი იყო, იშვიათად თუ გამხიარულდებოდა, მოაგონდებოდა თუ არა ბრეთი, ვარიანი და იქ დატოვებული დედა და ტოლამხანაგები, მახლობლები, მაშინვე დაღონდებოდა, ობლად იგრძნობდა თავს, ხშირად კიდეც ტიროდა... თავიდანვე მორიდებული ბავშვი იყო, და ახლა რომ სულ უცხო ხალხში ჩავარდა, მთლად მოიწყინა; ამ გარემოებამ, გარდა გიორგისა, მისი მეზობლებიც შეაწუხა. ერთმა კეთილმა მოხუცმა ნამდვილი დედური მზრუნველობა გაუწია ბავშვს და ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, მალე თითქმის სრულიად დაავიწყა თავისი სოფელი და იქ დატოვებული შინაურები. „სამწუხაროდ,—იგონებს შიო,—დამავიწყდა ჩემთვის მეტად ტკბილი ადამიანის—სოლიკო ჩახტაურის დიდედის სახელი, რომელმაც ისეთი დიდი სიყვარულით მიმიღო, ისე მომხიბლა მისმა უსაზღვრო ალერსმა, რომ დედა კინაღამ დამავიწყდა. დიდედობა გამიწია, ამაცდინა ბავშვური ნაღვლიანობა და მისი მეოხებით ძალიან მალე შევეჩვიე უდედობას".

„ჩვენები დედის ჯიბის თავს მეძახდნენ“,—ამბობს პოეტი,—რადგან დედაჩემს ყოველთვის გამოულეველი ჰქონდა ხოლმე ჩემთვის კაკლები, და აქაც უკეთეს ქერის ორმოში ჩავარდიო“. ახალი დიდედა არაფერს იშურებდა. ლეღვის ჩირი და ჩურჩხელები შიოს სულ მუდამ გამოულეველი ჰქონდა... ეს ყველაფერი საკმარისი იყო ბავშვისათვის, რომ მალე შეჩვეოდა ახალ ვითარებას. გაეჩვია იგი მეზობელ ტოლამხანაგებში, დადიოდა მათს ოჯახებში, ისმენდა კახურ ხალხურ შაირებს, ლექსებს და გულმოდგინედ აკვირდებოდა იქაურ ყოფაცხოვრებას. ბავშვის ცნობისმოყვარეობას იტაცებდნენ ლამაზი ბუნება, მწვანე მთები და ალაზნის უზარმაზარი ველი.

პატარა შიო მახვილი გონებისა და ძალიან კარგი მეხსიერების ბავშვი იყო. ჯერ კიდევ სრულიად პატარა, ერთი მოსმენისთანავე იხსომებდა ლექსებს, ვრცელ სუჟეტიან ზღაპრებს და შემდეგ თავისუფლად ჰყვებოდა მათ.

„ერთხელ დიდ მარხვაში,—სწერს შიო თავის ავტობიოგრაფიაში,—დედაჩემი სოფლის გოგოებს ბუმბულს არჩევინებდა. ჩემი ძმა გიორგი თბილისის სასულიერო სემინარიიდან იყო ჩამოსული სააღდგომო არდადეგებზე. ქებაძიანთ სიდოს აუტყდნენ—სთქვი რამე, გოგო, ასე ჩუმად როდემდის უნდა ვარჩიოთ ბუმბულიო.

სიდომ დაიწყო „ავთანდილ გადინადირა“ და ისე მადლიანად გაათავა, რომ ყველა აღტაცებაში მოვიდა.

ჩემი ძმაც იქ იყო იმ დროს.

ახლა მე ვიტყვი-მეთქი, ვუთხარი და თავიდან ბოლომდე გავიმეორე შეუცდომლად და უყოყმანოდ მთელი ლექსი.

ჩემმა ძმამ დამკოცნა, ამიყვანა, შემისვა მხრებზე და ნასიამოვნებმა გამატარ-გამომატარა ტკბილის ღიმილით“.

შილდაში წამოსვლამდე პატარა შიომ ძალიან ბევრი ქართლური ხალხური ლექსი, არაკი, ზღაპარი და შაირი იცოდა. აქ, შილდაში მან კიდევ უფრო გაიმდიდრა მარაგი, გატაცებით ისმენდა კახურ ხალხურ ლექსებს, შაირებს და შემდეგ ასეთივე გატაცებით ჰყვებოდა მათ.

შილდაში ყოფნისას შიო ავად გახდა წითელათი. რადგან წითელა გადამდები ბავშვთა ავადმყოფობაა, გიორგის არ შეეძლო ძმისთვისაც მოევლო და სასწავლებელშიცევლო. დასტოვა თავისი ოთახი და ახალ ბინაზე გადავიდა, შიო კი თავის ძვირფასმა დიდედამ თავისთან გადაიყვანა და დაუვიწყარი ამაგი დასდო, უდიდესი სიფაქიზითა და ყურადღებით მოუარა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამბობს ქართული ანდაზა, და აი, ამ ავადმყოფობასაც უშედეგოდ არ ჩაუვლია ბავშვისათვის. მის საწოლთან, მეტადრე გამოკეთების შემდეგ, ჩამომჯდარი დიდედა და გიორგის მოწაფეთა მშობლები ბავშვს ახალ-ახალი ლექსებისა და ზღაპრების მოყოლით ართობდნენ, ისიც უსმენდა და იხსომებდა.

შილდაში იყო შიო, როცა მამა გარდაეცვალა. ძმა ძალიან განიცდიდა მამის დაკარგვას, მაგრამ ცდილობდა შიოსათვის არ გაეგებინებინა, რადგან იცოდა, შიოს მშობლები ძალიან უყვარდა და დიდად იდარდებდა. სკოლიდან, რომ მოვიდოდა გიორგი, უხმოდ ისადილებდა, მერე გაჩუმებული და ჩაფიქრებული დაიწყებდა ოთახში წინდაუკან სიარულს, შიოს კი ამხანაგებში პათამაშოდ გამოისტუმრებდა. პატარა შიოს აფიქრებდა

ძმის ხასიათის ასეთი საოცარი შეცვლა, მაგრამ ვერ აეხსნა, მიზეზი ვერ შეეტყო.

გიორგის არ აკმაყოფილებდა შილდაში მასწავლებლობა და გადასწყვიტა ერევანში გადასულიყო. სანამ იქ მოეწყობოდა, ცოლი და შიო ყვარელში დასტოვა. ყვარელში შიომ რამდენიმე თვეს დაჰყო. ახლა უკვე საკმაოდ მოზრდილი იყო და ახალ მეგობრებთან ერთად იგი ყვარლის მთებსა და ტყეებში დადიოდა, მთელ დროს მშვენიერი ბუნების წიაღში ატარებდა. მისი ნორჩი ცნობიერება ივსებოდა, მდიდრდებოდა ბუნების უშუალო შთაბეჭდილებებით, სწავლობდა ტყისა და მინდვრის მცენარეებს, ტყისა და მინდვრის ფრინველებს.

1879 წლის შემოდგომაზე გიორგი ცოლშვილის წასაყვანად ჩამოვიდა, ყვარელიდან თბილისამდე ურმით იმგზავრეს სიღნაღის გზით. ახლა შიოს წინაშე ახალი სანახაობა იშლებოდა,—უნახავი და უჩვეულო. საღამო იყო, როცა სიღნაღის აღმართს შეუდგნენ, გზა დახვეული იყო და მთვარე ხან ერთ მხარეს ექცეოდა, ხან მეორეს, შიო აკვირდებოდა ამას და უკვირდა. და, სანამ ძმამ არ აუხსნა, ვერ გაიგო, თუ რატომ ეთამაშებოდა მთვარე „კეკე-მალულობას“.

თბილისში შიო ძმამ თავის სიმამრთან დასტოვა და დაავალა გაესტუმრებინა იგი სოფელში. გორამდე შიო მატარებლით ჩამოვიდა, გორიდან კი ფეხით გაუდგა ვარიანისაკენ. მიდიოდა სირბილით და ტკბილის ოცნებით. ასეთი სიამოვნება არასოდეს არ უგრძვნია. მშობლიურმა სოფელმა, მისმა მიდამოებმა უდიდესი სიხარულით აღაფრთოვანეს შიოს ნორჩი გული. რაც უფრო უახლოვდებოდა მშობლების სახლს, სიხარულის

გრძნობა მით უფრო ემატებოდა, მოუთმენლობა ეუფლებოდა, ეჩქარებოდა მშობლების ნახვა. მაგრამ ბავშვის განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა სახლი, რომელიც ორიოდე წლის წინ მშობლებითა და დაძმებით დასტოვა, ახლა დაცარიელებული და გამოკეტილი დახვდა. მეზობლები მაშინვე მიხვდნენ, რომ შიომ არაფერი იცოდა და ნამდვილი ვითარება დაუმალეს,—უთხრეს თქვენები ბრეთში გადავიდნენ საცხოვრებლადო. ბავშვმა აღარ დააყოვნა, მაშინვე გაეშურა ბრეთისაკენ. „არ დამისვენია,—ამბობს იგი,—იმავ წუთში დავიძარი ბრეთისაკენ, ისე გავიარე საქაშეთის ბოლოზე, რომ სოფლისაკენ არც კი მომიხედნია. მივედი ბრეთში ბიძაჩემისას, სადაც ჩვენები მეგულებოდნენ, არც ბიძაჩემი დამხვდა იქ და არც ჩვენები".

აქვე, ამ სოფელში ცხოვრობდა შიოს დეიდა — ქეთო თედეშვილი. შიომ ახლა მისკენ გასწია. ქეთომ, დაინახა თუ არა დისწული, გადაეხვია, გადაჰკოცნა და ტირილი დაიწყო. მაგრამ, როცა მიხვდა, რომ შიომ არ იცოდა მამის გარდაცვალების ამბავი, დაუმალა და უთხრა, — ყველა ჯავაში არიანო. ბავშვმა იფიქრა, ალბად მამა ჯავაში გადაიყვანეს მღვდლადო და გადასწყვიტა მაშინვე ჯავის გზას დასდგომოდა. ბევრს ეხვეწა და ემუდარა დეიდა, დარჩენილიყო ბრეთში, მაგრამ ვერაფერმა შეაკავა. ის ღამე, როგორც იყო, გაათენა, მეორე დილით ადრე ადგა და გასწია ჯავისაკენ. ბრეთიდან ჯავამდე გზა სულ ფეხით გაიარა, მაგრამ დაღლა არ უგრძვნია, ისე მიუხაროდა მშობლებისაკენ. ჯავაში მეორე დღეს მივიდა... დედის დანახვაზე შიომ დიდ სიხარულთან დიდი სევდაც განიცადა. დედის შავს ტანსაცმელს რომ შეხედა, მაშინვე მიხვდა, მამა აღარ ჰყავდა.

შიოს შუათანა ძმა, სანდრო, ხელობით დურგალი, ყარსში მუშაობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ, ნათესავების თხოვნა-მუდარით, ჯავაში ჩამოსულიყო ქვრივ-ობლად დარჩენილი ოჯახის მოსავლელად და, ერთხანს ნაროდნიკი-სოციალისტი, ახლა დიაკვნად დამდგარიყო.

ორი წელი გაატარა შიომ ჯავაში. ოჯახს უჭირდა. მცირე ხელფასით სანდრო ცოლშვილს ძლივს უძლვებოდა და გადასწყვიტა ძმა შუამთის (კახეთი) მონასტერში წაეყვანა, სასულიერო პირად აღეზარდა.

შიოს გადმოცემით მამაც დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. უფროს შვილებზე გულგატეხილი ყოფილა — ისინი სხვა ჯურის ხალხი არიან, ღმერთი არა სწამთ და, ისევ ჩემი შიო თუ მაცხონებსო.

კინაღამ ასრულდა მამაჩემის ნატვრაო! — მწარედ ივონებს შემდეგში პოეტი.

1881 წლის გაზაფხულზე შუათანა ძმამ შიო ჯავიდან გორში ჩამოიყვანა კახეთს წასაყვანად. რადგან მათ გორში ნათესავები არა ჰყავდათ, გამგზავრების წინ ნაცნობ შიო დავითაშვილთან მივიდნენ. შიო დავითაშვილი ცნობილი ხალხოსანი იყო. გორი იმ დროს ხალხოსნური მოძრაობის ცენტრად ითვლებოდა საქართველოში. ამ მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენლები ხშირად თავს იყრიდნენ დავითაშვილის ოჯახში და მართავდნენ სჯა-ბაასს საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის პრობლემებზე. ერთ დროს ამ წრესთან დაკავშირებული იყვნენ შიოს ძმებიც—გიორგი და სანდრო, რომელნიც მაშინ გატაცებული ყოფილან ხალხოსნური იდეებით. აი, ამ ხალხთა შორის აღმოჩნდნენ ის ადამიანები, რომელთაც დიდი დახმარება აღ-

მოუჩინეს უპატრონოდ და უგზოუკვლოდ დარჩენილ შიოს, გადაარჩინეს და ხელი შეუწყეს მისი შემოქმედებითი ნიჭის გაშლას. განსაკუთრებით უნდა მოვიხსენიოთ მიშო ყიფიანი და თედო გალეევი. ამათ, დავითაშვილსა და მის ცოლ ქეთევანთან ერთად, წინააღმდეგობა გაუწიეს სანდროს,—ბევრი უშალეს,—ნუ წაიყვან, მონასტრის ბნელი ძალების მსხვერპლად ნუ გახდი ბავშვსაო, მაგრამ სანდრომ თავისი არ დაიშალა. მაშინ ურჩიეს, ჯერ მხოლოდ თვითონ წასულიყო, გაეგო, მიიღებდნენ თუ არა ბავშვს, და შემდეგ წაეყვანა იგი. როგორც პოეტი იგონებს, ძმა შუამთიდან დაძმარებული ჩამოსულა, ბერებს უარი ეთქვათ, ადგილი დიდხანს არ გვექნებაო. საგონებელში ჩავარდნილ სანდროს, სხვა გზა რომ აღარა ჰქონდა, გადაეწყვიტა უკან, ჯავაში წაეყვანა. ეს დიდი უბედურება იქნებოდა, როგორც ოჯახის, ისე შიოსათვის. სანდროს ოჯახი მეტისმეტად ხელმოკლედ ცხოვრობდა, მას არ შეეძლო შიოსათვის დახმარების გაწევა, პატარა შიოს ადრევე უნდა მოეკიდნა ხელი მძიმე ფიზიკური შრომისათვის და თვითონ ეზრუნა თავის ბედზე.

შიო კეთილმა ადამიანებმა იხსნეს. თუ არა დავითაშვილი, მისი გულკეთილი ცოლი, ხალხოსანი მიშო ყიფიანი და თედო გალუევი, შეიძლება ქართულ საბავშვო ლიტერატურას არა ჰყოლოდა ასეთი გულთამხილველი და შთაგონებული წარმომადგენელი. ამ კეთილმა ადამიანებმა შიო არ გაატანეს ძმას უკან, გორში დასტოვეს და მისი აღზრდა თვითონ იკისრეს. შიო დავითაშვილიც, მიშო ყიფიანიც და თედო გალუევიც ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მაგრამ ბავშვისათვის მზრუნველობა მაინც არ მოუკლიათ, ეხმარებოდნენ — რაც



დიმიტრი მაჩხანელი, შიო მღვიმელი და ვაჟა-ფშაველა.

შეეძლოთ და როგორც შეეძლოთ. შიო ხან დავითაშვილის ოჯახში ცხოვრობდა და ხან ყიფიანისას.

ამ დროისათვის შიომ წერა-კითხვა კარგად იცოდა. უფროსმა ძმამ შეასწავლა შილდაში. ახლა, როცა დავითაშვილმა და მისმა ცოლმა ბავშვს მომზადება დაუწყეს, განცვიფრებული იყვნენ მისი ნიჭით და უნარით. შიომ ყველაფერი, რაც საჭირო იყო, იოლად შეითვისა და იმავე წლის შემოდგომაზე გორის სასტატო (სამასწავლებლო) სემინარიასთან არსებულ სანიმუშო სკოლაში დაიწყო მეცადინეობა. როცა შიო სკოლაში მიაბარეს, ხნით სხვა მოსწავლეებზე უფროსი იყო. მაგრამ ცელქ და ონავარ ბავშვთაგან დაცინვასა და მასხარად აგდებას გადაარჩინა ტანის სიპატარავემ. შიო ტანმორჩილი იყო და არ გამოირჩეოდა უმცროს მეგობრებისაგან. ამასთან მეტად წყნარი და მორიდებული იყო, რის გამოც ძალიან უყვარდათ მასწავლებლებსაც და ამხანაგებსაც.

1883-84 წლებში მეფის მთავრობამ დაარბია ხალხოსანთა ორგანიზაციები, სასტიკად გაუსწორდა ამ მოძრაობის წევრებს და ყველა, ცოტად-თუ-ბევრად ცნობილი ხალხოსანი, დააპატიმრა, ზოგი ციხეში მოათავსა, ზოგი შორეულ ციმბირში გადაასახლა, ზოგმა თვითონ დასტოვა გორი და თბილისს შეაფარა თავი. ამათში შიოს მზრუნველებიც მოჰყვნენ. გორი დაცალიერდა შიოს ნაცნობებისაგან. შიო ბედის ამარად დარჩა. არსად თავშესაფარი არა ჰქონდა, არავინ მზრუნველი და პატრონი არა ჰყავდა. როგორმე უბინაობა რომ აეტანა, ულუკმაპუროდ დარჩენილსა და ყოველგვარ სახსარს მოკლებულს შიმშილით დაღუპვა მოელოდა.

როგორც იტყვიან ხოლმე,—შიო ბედზე ყოფილა დაბადებული. ყოველ განსაცდლის ჟამს კეთილი ადამიანები უჩნდებოდნენ, ზრუნვასა და დახმარებას არ აკლებდნენ.

მაშინ,—პოეტის მოგონებით, — სემინარიის დირექტორად ყოფილა სემიონოვი,—მეტად დარბაისელი და სათნო კაცი. იგი პატიმარ ხალხოსან მასწავლებლების სანახავად და გამოსათხოვრად რომ გასულა სადგურზე, ამ დროს მიშოს მისთვის ეთხოვნა: ესა და ეს მოწაფე, რომელიც ჩემთან ცხოვრობდა, უპატრონოდ რჩება და ყურადღება მიაქციეო.

ახლა სემიონოვმა გაუწია პატრონობა. სასწავლებლის საავადმყოფოში მოათავსა საცხოვრებლად, სადილს კი ხან სამზარეულოში სჭამდა, ხან საერთო სასადილოში.

დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ხალხოსნური მოძრაობისაგან დამფრთხალმა ჟანდარმერიამ ახლა „საეჭვო“ ელემენტებისაგან საოსტატო სემინარიის გაწმენდა დაიწყო. ამ სასწავლებელში ყველაზე ძლიერი იყო ხალხოსანთა გავლენა. მასწავლებელთა უმრავლესობა იქ ხალხოსნურად იყო განწყობილი, რომელიც ასეთივე მებრძოლი სულისკვეთებით ზრდიდა მოსწავლეებს, უნერგავდა თვითმპყრობელობის სიძულვილსა და სამშობლოსა და დაჩაგრული მშრომელი ხალხისათვის უანგარო სამსახურის იდეებს. სასწავლებლიდან გააძევეს ყველა „საეჭვო“ ელემენტი, მასწავლებელი იყო ის, თუ მოსწავლე. ამათ შორის მოჰყვა შიოც, რომელმაც შემდეგ დიდი გაჭირვებით მოახერხა აღედგინა თავი ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებელში. სემინარიი-

დან გარიცხვის შემდეგ შიო, სემიონოვის მფარველობით, კვლავ სემინარიის საავადმყოფოში ცხოვრობდა.

მალე სემიონოვი თავისი თხოვნით პეტერბურგში გადაიყვანეს და მის ადგილზე დანიშნეს ხონის სემინარიის ყოფილი დირექტორი სტრელეცკი. სტრელეცკი რადიკალურად განირჩეოდა კეთილ და გულისხმიერ, ჰუმანისტ სემიონოვისაგან. იგი ბუნებითა და მსოფლმხედველობით შავრაზმელი იყო, სძულდა ქართველები და სასტიკად ეპყრობოდა მოსწავლეებს. სტრელეცკიმ მოსვლისთანავე ქუჩაში გააგდო შიო. იგი ნამდვილად დაიღუპებოდა, რომ ახლა კეთილი ტოლამხანაგები არ აღმოჩენოდნენ; აი რას მოგვითხრობს თვითონ შიო.

„ორი დღე სკოლაში აღარ მივსულვარ.

მესამე დღეს სკოლისაკენ მიმავალი ლადო ხმალაძე შემხვდა და მეკითხება—ბიჭო, რატომ სკოლაში აღარ დაიარებიო.

ჩემი ამბავი რომ ვუთხარი, რასაკვირველია, შეწუხდა, როგორც ამხანაგი, და მითხრა, დღეს სადილად ჩემთან მოდიო.

ძმები ხმალაძეები,—ლადო, გოლა და დათა, ერთად ცხოვრობდნენ სემინარიის ქუჩაზე. ყოველ სამ დღეში ერთხელ, სოფლიდან (აძვი) სანოვაგე ჩამოსდიოდათ.

სწორედ იმ დღეს, როდესაც მე იმათთან მივედი, მამა ჩამოსვლოდათ. მამა რომ ოთახში შემოვიდა, მე დავკარ ფეხი და გამოვარდი, ბევრი მიძახეს, მაგრამ უკან აღარ მომიხედნია.

ეკითხნა მამას: ვინ არისო. ეამბნათ ჩემი სიობლე. მამას ეთქვა: „თუ კარგი ამხანაგია, თქვენ არ გაგაჯავ-

რებით და არაფერს დაგიშავებთ, შემოიყვანეთ, შვილო, სახლში და რაც თქვენ გქონდეთ, ისიც იმას აჭამეთო“.

მეორე დღეს მომძებნა ლადომ და მიმიყვანა სახლში. იმ დღიდან, 1887 წლის მკათათვის პირველამდე არ მოვშორებივარ მათ. დიდი ყურადღებით მექცეოდნენ და ოჯახის მეოთხე შვილად მთვლიდნენ.

ეს კეთილი ხალხი რომ არ მომსწრებოდა, მე ვერც გორის საქალაქო სასწავლებელს დავამთავრებდი და ისეთ გუნებაზე ვიყავი დამდგარი, ჩემს თავს რამეს ავუტეხავდი“.

ძნელი არ არის პოეტის ამ უბრალო სტრიქონებში ამოიკითხოთ საშინელი ტრაგედია იმ ახალგაზრდისა, რომელიც უპატრონოდ ქუჩაშია დარჩენილი და წინ ვერავითარ პერსპექტივას ველარ ხედავს.

1887 წელს შიომ დაამთავრა გორის ოთხკლასიანი საქალაქო სასწავლებელი და გაემგზავრა უფროს ძმასთან ახალსენაკში, სადაც მაშინ იგი მსახურობდა სახელმწიფო მამულების აგენტად. გიორგის სამსახურებრივი მიზნით ხშირად უხდებოდა მოგზაურობა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და შიოც თან დაჰყავდა. პირველად ხედავდა მომავალი პოეტი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის ულამაზეს ბუნებას, მთებსა და ხეობებს, დახლართულ გზებს, მჩქეფარე მდინარეებს და უსაზღვროდ იხიბლებოდა საოცარი სანახაობით.

„სვანეთის მშვენიერმა ხეობამ,—იგონებს პოეტი მოხუცებულობის ჟამს,—და უზარმაზარმა მთებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე.

ეს ხეობა მომაგონებდა ჩემთვის უკვე ნაცნობ ჯავის ხეობის გულს სოფელ ხვწიდან სოფელ ედისამდე.

დაღესტნის ცამდეაწვდილ შილდა-ყვარლის, ჯავისა და სვანეთის მთების სურათები მძლავრად შთაბეჭდნენ ჩემს გონებაში და მათი დიდი სანახაობა, სურათი დღესაც ნათლად მიდგას თვალთან“.

იმავე წლის შემოდგომაზე შიო თბილისში ჩამოვიდა. მის უპირველეს განზრახვას შეადგენდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობა ამის საშუალებას არ აძლევს და იძულებული ხდება მუშაობა დაიწყოს. შიო დავითაშვილისა და ლადო ალნიაშვილის დახმარებით იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მოეწყო. ამ სამუშაოზე 1909 წლამდე დაჰყო, 1909 წლიდან კი კორექტორად მუშაობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შიო მღვიმელი, მოხუცებულობის მიუხედავად; ახალგაზრდული გატაცებით მუშაობდა, „გული ხალისიანად უცემდა“ და კვლავინდებურად თავს ევლებოდა ბედნიერ ნორჩ თაობას.

საბჭოთა ხელისუფლებამ დიდად დააფასა უანგარო პოეტის შეუდარებელი ღვაწლი სამშობლო ქვეყნისა და საბავშვო მწერლობის წინაშე. 1925 წელს მას 40 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე გადაუხადა, დამსახურებული მწერლის სახელწოდება მიაჭა და პერსონალური პენსიაც დაუნიშნა.

შიო მღვიმელი გარდაიცვალა 67 წლის ასაკში. მადლიერმა ხალხმა მისი ცხედარი უდიდესი პატივისცემით დაკრძალა ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში (თბილისი).

# შემოქმედება

I.

როგორც დავინახეთ, შიო მღვიმელს დიდი კლასიკური განათლება არ მიუღია. მისი უნივერსიტეტი ცხოვრება იყო.

შინგატარებულ წლებში ახალგაზრდა შიომ ხალხის მძიმე ცხოვრების მდიდარი შთაბეჭდილება დააგროვა. იგი კარგად იცნობდა გლეხების მდგომარეობას. მათი გაჭირვება, კვნესა და ვაება ბავშვობიდანვე სულს უშფოთებდა პოეტს. გადმოცემით ვიცით, რომ ბავშვობაში ძალიან სათუთი გრძნობისა ყოფილა. მშიერ-ტიტველი ამხანაგების მდგომარეობით გულაჩუყებული მრავალჯერ თვალცრემლიანი მისულა შინ და შეუჩივლნია დედისა და ძმებისათვის. ბოლოს იმის გამო, რომ ამხანაგებისადმი დახმარება არ შეეძლო, გულჩახვეული გამხდარა. ხშირად მთელ დღეს მოწყენილად ატარებდა, გართობისა და თამაშის ხალისი არა ჰქონდა.

ბავშვის გონების გაღვიძებაში გარკვეული როლი ოჯახმაც ითამაშა. როგორც თვითონ პოეტი იგონებს, მისი ძმები ხალხოსნურად ყოფილან განწყობილი, შვილების უკმაყოფილო მამას მრავალჯერ გამოუთქვამს საყვედური, რასაც ბავშვის ყურადღება მიუქცევია.

ნორჩ შიოზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენდა ფოლკლორი. იტაცებდა სახუმარო, დამცინავკილოიანი და მძაფრი სატირული ხასიათის ხალხური ლექსები, შაირები, იგავები, ზღაპრები, რადგან მათში გამოხატული იყო მშიერ-მწყურვალთა, ღარიბთა და ქვრივ-ობოლთა თანაგრძნობა. ქართლ-კახურმა ხალხურმა შემოქმედებამ გააღვივა ნორჩ შიოში უსამართლობისა და ყოველგვარი ბოროტებისადმი სიძულვილის პირველი თესლი.

გორში გატარებულ წლებს შიოს ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. გორმა განსაზღვრა მომავალი პოეტის ბედი, მისი მსოფლმხედველობა და შემოქმედებითი მოწოდება.

სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების გორი მღელვარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი იყო. ის იყო გული რევოლუციურ-ხალხოსნური მოძრაობისა მთელს საქართველოში. იქ იყვნენ იმდროინდელი და მომავალი ისეთი დიდი მწერლები და ეროვნული მოღვაწეები, როგორც არიან ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ვაჟას ძმები—თედო და ბაჩანა, ნიკო ლომაური, იაკობ გოგებაშვილი, მიშო ყიფიანი, შიო დავითაშვილი და მრავალი სხვა. გორში თავს იყრიდა მოწინავე ინტე-

ლიგენცია, რომელიც მტრულად იყო განწყობილი არსებული რეჟიმისადმი.

სამართლიანად ამბობდა დიდი ქართველი პოეტი აკაკი ამ პერიოდის გორის შესახებ:

გორო, ქართლის შუაგულო,
მეთაურო ქართლისაო,
ადრე ლისად წამებულო,
დღესაც მთქმელო მართლისაო.

გორში ჩამოსვლის პირველ დღიდანვე პატარა შიო სწორედ ამ წრეში ხვდება. ამ წრეში იღებს აღზრდას, იდეურ ნათლობას...

ხალხოსნები არიან მისი პირველი მასწავლებლები. დავითაშვილისა და ყიფიანის ოჯახებში შიო ფარული კრებებისა და ხალხოსანთა პრაქტიკულ-რევოლუციური მუშაობის მოწმე ხდება, მალე თვითონაც მონაწილეობას იღებს ამ საქმიანობაში, ასრულებს უფროსების დავალებას — ავრცელებს მოსწავლეებში არალეგალურ, თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ლიტერატურას. სკოლაში მისი მასწავლებლები იყვნენ ნიკო ლომაური და სოფრომ მგალობლიშვილი. როგორც გადმოცემიდან ვიცით, შიოსათვის ფსევდონიმი „მღვიმელი“ ნ. ლომაურს დაურქმევია—ბერი მღვიმელი შენსავით წყნარი იყო, შენც მასავით დარბაისელი გამოხვალო.

ვაჟა-ფშაველა მაშინ გორში სწავლობდა. ის ხუთი წლით უფროსი იყო შიოზე; საკმაოდ მომზადებული იყო, კარგად იცნობდა, როგორც ხალხოსანთა, ისე ეროვნულ-გამათავისუფლებელთა შეხედულებებს და

თანაუგრძნობდა მათ. შიო გორში სწავლის დროს დაუახლოვდა ვაჟას და მისი დიდი გავლენა განიცადა; ვაჟა შიოზე გავლენას ახდენდა არა მხოლოდ ნათელი გონებითა და ნიჭით, არამედ მღელვარე სულითა და ენერგიითაც. შიოს ანცვიფრებდა ვაჟას ღრმა ცოდნა; სიყვარული და პატივისცემა, რომელიც აღძრა შიოს ვაჟასადმი ამ წლებში, არასოდეს არ შენელებულა, პირიქით, ეს პატივისცემა შემდეგში კიდევ უფრო გაძლიერდა, შიო ვაჟას პოეზიის თაყვანისმცემელი და მიმდევარი შეიქნა; ვაჟაც, თავის მხრივ, მოხიბლული იყო შიოს უანგარო მოღვაწეობით, მისი ცოცხალი და მჩქეფარე პოეზიით.

ამასთან, შიო მღვიმელი იზრდებოდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ხალხოსან მწერლების მხატვრულ ნაწარმოებებზე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ იმ ნაზი და სათუთი გრძნობების პოეტმა, როგორადაც იცნობენ უმთავრესად შიოს, მებრძოლი განწყობილების ლექსებით დაიწყო შემოქმედებითი ცხოვრება. „ჯერ კიდევ სკოლის მერხზე იჯდა, — სწერს პოეტი ი. გრიშაშვილი,—როცა გორელი ბოქაულის სამთლიკუდოვის მკვლელობა აღწერა სათოხუნჯოდ ხალხური ლექსის „ოო-მეოს“ ყაიდაზე“.

ერთ-ერთი მისი ადრინდელი ლექსი („მუხთალ სოფელს“), რომელიც დაწერილია მოწაფეობის პერიოდში, მკაფიოდ გადმოგვცემს ნორჩი პოეტის პატრიოტულ სულისკვეთებას, მის გონებრივ სიმწიფესა და მოქალაქეობრივ მგზნებარებას. ამ პატარა ლექსში იგრძნობა მუხთალი დროის, გაბატონებული მორალური

და პოლიტიკური უსამართლობის ნათელი ხილვა და ხალხის, სამშობლოს უკეთესი მომავლის იმედი:

თუმც გული კვნესის,ილევა,
მთის ყინულივით დნებაო,
მაგრამ ჯერ ვერას დამაკლებ,
მუხთალო სოფლის ვნებაო.
კუბოს რომ ვიწვე ულური,
მელოდეს დამიწებაო,
მაინც შევძახებ ქვეყანას:
დაიცა, გათენდებაო! (1886 წ.).

შიო მღვიმელი ლექსების წერას იწყებს გორში სწავლის დროს. მისი ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება კი 80-იანი წლების დასასრულს იწყება, — იმ დღიდან, როცა იგი თბილისში ჩამოვიდა. თბილისში ახალგაზრდა პოეტი დაუახლოვდა იმდროინდელ მოწინავე ადამიანებს და მათთან ურთიერთობაში სულ მალე საბოლოოდ გამოარკვია თავისი შემოქმედებითი მოწოდება.

თბილისში ჩამოსვლის დროისათვის, როგორც ეს ზევით მოყვანილ ლექსიდანაც ჩანს, შიო გონებრივად საკმაოდ მომწიფებული იყო. მის პირველ ლექსებში მკაფიოდ იგრძნობა, რომ პოეტი ბევრს კითხულობდა მაშინდელ ლიტერატურას და უკვე გარკვეული შეხედულებები ჰქონდა საგნებსა და მოვლენებზე. პირველ ლექსებიდანვე შიო აგრძელებს ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა თავის ლიტერატურულ მასწავლებელთა შემოქმედებითს ტრადიციებს, სწერს შრომისა და სამშობლოს თავისუფლებაზე. „ბედშავთა და ტვირთმძიმეთა“ ინტერესებისადმი სამსახური მისი მოქალაქეობრივი შეგნების ორგანულ ნაწილად იქცა.

იოსებ დავითაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც დაწერილია 1887 წელს (გორის სასწავლებლის დამთავრებისა და თბილისში ჩამოსვლის წელი), ახალგაზრდა შიომ ნათლად გამოხატა უდიდესი გულისტკივილი იმ პოეტის სიკვდილის გამო, რომელიც „თანაუგრძნობდა ტანჯულის სისხლის დუღილსა". აქ ჩვენ ვხედავთ იმ დიდი მოქალაქეობრივი შეგნების, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სულიერი მღელვარების მკაფიო გამოხატულებას, რამაც შემდეგში ფრთები შეისხა და გაიფურჩქნა შიოს პოეზიაში. ილია და აკაკი იოსებ დავითაშვილის სახით ხედავდნენ ბედნიერ მოვლენას,—მუშათა წრიდან გამოსულსა და გონებრივად დაწინაურებულ ადამიანს,—აღტყინებულს მშობლიური ხალხის სოციალური და ეროვნული კეთილდღეობისათვის ბრძოლით. შიო მღვიმელიც უმთავრესად ამ გარემოებას უსვამდა ხაზს. „სიცოცხლეს ლევდი ტანჯვაში, გული რაღაცას ელოდაო", — მიმართავს პოეტს და დასძენს:

მიწამ გიმოყმა, ბედ-შავო,
დღენი ვერ ნახე მზიანი,
ვერც გაზაფხული, ბულბული,
ვერც აგიყვავდნენ იანი.
ნუთუ გქმნა იძულებული
უკუღმა სოფლის დენამა,
მოსშორდი ცოდვის ქვეყანას,
რომ ცრემლით აღარ გენამა?
ასე სწრაფულ რამან მოგხიბლა,
შორით ვით ვსცნა მენამა?
დამარხე გულში, წარიღე,
რაც ვერ გამოსთქვა ენამა?!

ეს დიდი მოქალაქეობრივი—სოციალური და პატრიოტული მოტივები ასულდგმულებდნენ შიოს შე-

მოქმედებას, მის ყოველ ნაწარმოებს, რა თემაზე და რომელი ასაკისათვისაც არ უნდა ყოფილიყო ის დაწერილი. შიო მღვიმელის ამ პირველ პატრიოტულ ლექსებს, როგორც დავინახავთ, მოჰყვა მთელი რიგი ლექსებისა, რომლებშიც უდიდესი პოეტური ტემპერამენტით იყო გამოხატული ხალხის სულიერი მისწრაფებანი.

რაც მთავარია, შიო მღვიმელმა თავისი შემოქმედების მაგისტრალურ ხაზად საბავშვო პოეზია აირჩია. საბავშვო პოეზიაში ნახა მან თავისი სულის მუდმივი ნავთსაყუდარი. ამ გარემოების ახსნა ახლა ძალიან ადვილია. შიო იყო უაღრესად ფაქიზი ბუნების ადამიანი, მისი სულის ეს შინაგანი თვისება სრულ გაშლას სწორედ საბავშვო პოეზიაში ჰპოვებდა. ასეც მოხდა. თუ შიოს გამოჩენამდე ჩვენში არ არსებობდა ნამდვილი საბავშვო პოეზია, შიომ დასაწყისი მისცა ამ უკანასკნელს და მისი ჭეშმარიტი კლასიკოსი შეიქნა.

## II

საბავშვო პოეზიაში შიო მღვიმელის ბრწყინვალე გამარჯვებისა და უდიდესი შემოქმედებითი მიღწევების პირველი მთავარი მიზეზი იყო მისი, როგორც ადამიანის, დამოკიდებულება ბავშვებისადმი. ბავშვი შიოს სიყვარულის მთავარი საგანი იყო. მთელი სულითა და გულით უყვარდა ბავშვი, მისი ნაზი, სათუთი, სუფთა ბუნება. ცხოვრებაში ღრმად ჩახედულსა და დაკვირვებულ შიოს გულს უტეხდა თანამედროვეთაგან ზოგიერთის იდეური და ზნეობრივი სახის დაკარგვა, გადაგვარება. იმედს მომავალ თაობაში, მის ჯანსაღ აღზრდაში ხედავდა. მისი „გული იმათ ენდობოდა“ და გულწრფე-

ლად ნატრობდა: „გამძლე, ბუნებავ, ბავშვების სიყვარულითო“.

მაგრამ შიო მღვიმელისათვის ბავშვი იყო არა მხოლოდ მშობლიური სიყვარულის საგანი, არამედ შემოქმედებითი შთაგონების წყაროც. შეიძლება ითქვას, ბავშვის გარეშე პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება წარმოუდგენელი იქნებოდა. გულწრფელად გჯერათ პოეტის სიტყვები:

არასოდეს არ ვყოფილვარ
მე ყრმათათვის შორეული;
აი, ახლაც თქვენთან ვცელქობ
ტკბილი გრძნობით მორეული.
ყურს არ ვუგდებ ქაჯ-ეშმაკებს,
ჭინკებსა და ზღაპრულ მდევებს,
მუდამ თქვენი სიყვარული
მამხნევებს და მასალკლდევებს.

ლიტერატურული სტილის მიხედვით შიო მღვიმელი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მოწაფე იყო. მათი პოეზიის ხალხურობა და სისადავე საფუძვლად დაედო შიოს მხატვრულ მეტყველებას. როგორც საბავშვო მწერალი კი, იგი დაკავშირებულია დიდ ქართველ პედაგოგ იაკობ გოგებაშვილთან. მართალია, თვით პოეტში უნდა ყოფილიყო შინაგანი მიდრეკილება საბავშვო პოეზიისაკენ. ბუნებრივი მონაცემების გარეშე ვერ გახდებოდა საბავშვო მწერალი, მაგრამ მხოლოდ ბუნებრივი მონაცემები არ შეიძლება საკმარისი ყოფილიყო. საბავშვო მწერალს ესაჭიროება ბავშვთა სამყაროს ღრმა ცოდნა, გარკვეული პედაგოგიური პრინციპები.

რასაკვირველია, სავალდებულო არაა, იგი პროფესიული პედაგოგი იყოს, მაგრამ უნდა იცნობდეს თავი-

სი ეპოქის პედაგოგიური აზროვნების მიღწევებს, უნდა იცოდეს ის ძირითადი მოთხოვნილებები, რომელსაც აყენებს ბავშვთა აღზრდის მეცნიერება აღზრდა-განათლების წინაშე. მარტოოდენ ბუნებრივი ნიჭით და მხატვრული ინტუიციით შეუძლებელია შორს წასვლა.

როგორც ილია და აკაკი თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე განსაზღვრავდნენ ქართული მწერლობის ეროვნულ სულს, ისე იაკობ გოგებაშვილი იყო გამსაზღვრელი ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდეებზე დაფუძნებული პედაგოგიკისა, ამ პედაგოგიური მოძღვრების საფუძველზე აღმოცენებული საბავშვო ლიტერატურისა.

იაკობ გოგებაშვილმა თეორიული და პრაქტიკული ბრძოლა გამოუცხადა იმდროინდელი სწავლა-განათლების სისტემაში გაბატონებულ დოგმატიზმს, სქოლასტიკას და აღმართა „ბავშვის სულის ჰარმონიული განათლების", **სრული აღზრდის** დროშა. გოგებაშვილის პედაგოგიური შეხედულებები ემყარებოდნენ, როგორც უტილიტარულ პრინციპებს, ისე ღრმა მეცნიერულ საფუძვლებს. ბავშვის მოქალაქეობრივად აღზრდას იგი აკავშირებდა გრძნობის, ნებისყოფისა და გონების აღზრდასთან, ფანტაზიისა და მეხსიერების განვითარებასთან. ამ შემთხვევაში გონების აღზრდას გოგებაშვილი წინა რიგში აყენებდა, მას თვლიდა ისეთ ფაქტორად, რომელსაც უნდა წარემართნა ბავშვის ყველა შინაგანი თვისების გამომჟღავნება-განვითარება, მისი ბუნების ჩამოყალიბება; პრაქტიკულ ცხოვრებაში ნებისყოფამ შეიძლება მახინჯი მიმართულება მიიღოს, თუ მას არ წარმართავს გონება, ბავშვში სწო-

რად აღზრდილი პირველადი ინტელექტუალური მონაცემები.

სკოლა თავისი იდეებითა და მეთოდით ხელს უნდა უწყობდეს თავისუფალი შემოქმედებითი მოაზროვნისა და მოღვაწის აღზრდას. ასეთივე, და უფრო მეტ, მოთხოვნილებებს აყენებდა დიდი პედაგოგი საბავშვო მხატვრული ლიტერატურის წინაშე, რადგან მხატვრული მწერლობა სკოლის გარეშე აღზრდის უძლიერესი საშუალებაა. მხატვრული წიგნი ეხმარება და ავსებს სკოლას, ამიტომ მწერლის შემოქმედებითი პრაქტიკა, მისი შემოქმედებითი შთაგონება უნდა ეფუძნებოდეს დროის პროგრესიული პედაგოგიური აზროვნების მონაცემებს ბავშვთა აღზრდა-განათლების საქმეში.

ეს მონაცემები იმ ეპოქაში, რომელშიც შიო მღვიმელი მოღვაწეობდა, სრულ გამოხატულებას გოგებაშვილის პედაგოგიურ წერილებსა და მხატვრულ ნაწარმოებებში პოულობდნენ. ეს დიდი პედაგოგი შესანიშნავი საბავშვო მწერალიც იყო.

საბავშვო ლიტერატურამ უნდა გაასპეტაკოს და გაამდიდროს ბავშვის ბუნება. გამსჭვალოს იგი ხალხის სასარგებლო საქმის სიყვარულით, მოქალაქეობრივი სულისკვეთებით. მან ხელი უნდა შეუწყოს სულით მდიდარი ადამიანის, კეთილის დაუცხრომელი მაძიებლისა და ბოროტების შეურიგებელი მტრის, აღზრდას. ამისათვის საკმარისი არაა ბავშვისადმი მხოლოდ სიყვარული. და, აი, აქ, შიო მღვიმელს, როგორც მწერალს, ეხმარება იაკობ გოგებაშვილი.

შიო მღვიმელს არ მიუღია სპეციალური პედაგოგიური განათლება, მაგრამ ნიჭისა და ინტუიციის საშუალებით ამაღლდა გოგებაშვილის „ბავშვის სულის



შიო მღვიმელი, ია ეკალაძე და დავით კლდიაშვილი.

ჰარმონიული განათლების" თეორიის დონემდე. შიო მღვიმელმა გოგებაშვილის „ბავშვის სულის ჰარმონიული განათლების" თეორიაში აღმოაჩინა უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა და უპირველეს მოქალაქეობრივ მოვალეობად ბავშვის, მომავალი სასიქადულო ქართველის აღზრდა დაისახა. საბავშვო პოეზიას შიო მღვიმელი უყურებდა, როგორც დიდ ეროვნულ საქმეს. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მან მთელი ნიჭი და ენერგია საბავშვო პოეზიას შეალია.

მეფის პოლიტიკა განათლების დარგში იქითკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ახალგაზრდობისათვის „გული აეცრუებინა" მშობლიურ ენაზე, რის შემდეგ ადვილი იქნებოდა ხალხში ეროვნული თვითშეგნების „მიძინება". მეფის თვითმპყრობელობის ამ ცდას ქართველმა მოღვაწეებმა დაუპირისპირეს ნამდვილად მცოდნე, ცხოველი ჭკუისა და მტკიცე ხასიათის ახალგაზრდობის აღზრდა. ამ ახალგაზრდობაში ქართული ენის სიყვარულის დანერგვა. ე. ი. ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებას ისინი აფუძნებდნენ ეროვნულ ნიადაგზე, რაც ნიშნავდა: ქართულ ენაზე სწავლისათვის შეერწყმიათ ეროვნულ-გამათავისუფლებელი, დიდი პატრიოტული იდეები.

ასე ესმოდა შიო მღვიმელსაც „გონებით განათლებული" ქართველის აღზრდა, და აქედან მომდინარეობს მისი საბავშვო პოეზიის პატრიოტიზმიც.

შიო მღვიმელის საბავშვო პოეზია თემატიკურად მრავალფეროვანია. მისი პოეტური ფანტაზია არ კმაყოფილდება არც მხოლოდ მორალური, არც მხოლოდ სოციალური, არც მხოლოდ ეროვნული პრობლემებით, იგი არ გვიხატავს აგრეთვე არც მარტოოდენ ფრინვე-

ლების და ცხოველების სამყაროს: პოეტის მხატვრული ხილვა ფართო ჰორიზონტით ისაზღვრება. იგი გვიშლის მომხიბლავ სურათებს, როგორც ადამიანთა და ბავშვთა ყოფიდან, ისე ფრინველთა და ცხოველთა ცხოვრებიდან. პოეტი უხვად იყენებს ზღაპრულ ამბებს, ჰქმნის ცოცხალ და დინამიკურ სუჟეტებს, რომლებიც თავიანთი შინაარსით ხელს უწყობენ ბავშვის სრულყოფილ აღზრდას. შიო მღვიმელის საბავშვო პოეზიის ღირსება ისაა, რომ იქ იშვიათად ვხვდებით მშრალ დიდაქტიკას, რეზონიორობას. პოეტმა კარგად იცის, რომ ბავშვი სახეებით უფრო აზროვნებს, ვიდრე ლოგიკურად. ამიტომ პოეტი არ მსჯელობს, მშრალ დასკვნებს როდი იძლევა. ხატავს ისეთ მოქმედებითს სურათებს, რომლებსაც ბავშვები ადვილად შეიცნობენ. თანდათან გადაჰყავს მკითხველი ბავშვი სახეებით აზროვნებიდან ლოგიკურ შეცნობაზე, ცნობილიდან— ნაკლებად ცნობილზე, მარტივიდან—რთულზე.

პოეტს კარგად ესმოდა, რომ ბავშვში ესათუის გრძნობა, მიდრეკილება, მსოფლმხედველობა თანდათან უნდა აღზრდილიყო, გამომუშავებულიყო. ლექსის წერის დროს ყოველთვის მხედველობაში ჰყავდა ბავშვთა გარკვეული ასაკი.

შიო მღვიმელის საბავშვო პოეზიის მაგისტრალურ ხაზს ორი ძირითადი იდეური ფაქტორი განსაზღვრავდა. პირველი, და უმთავრესი, იყო პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი, მეორე — ჰ უ მ ა ნ ი ზ მ ი.

ჰუმანისტი პოეტის მთავარი მიზანი იყო ბავშვში გამოეწვია კეთილი გრძნობები: მიდრეკილება სიკეთისაკენ.

ბოროტი არ ჩაიდინო, კარგი დასთესე, რომ კარგი მოიმკო,—ასეთია შიო მღვიმელის მორალის აზრი. პოეტი უდიდესი სიმპატიითა და სიყვარულით გვიხატავს ბავშვებს, რომლებიც სიკეთეს სჩადიან მეგობრების მიმართ, ეხმარებიან და თანაუგრძნობენ მათ გაჭირვების დროს.

შიოს ლექსების მიხედვით ბავშვს გაჭირვებული მეგობრებისადმი დახმარება სახალისოდ და სასიქადულოდ მიაჩნია. იგი არ არის დამძიმებული არც განსაკუთრებული ტანჯვით, არც უდიდესი სიძნელეებით. პოეტი უადვილებს ბავშვს სიკეთის ჩადენას, რათა შეიყვაროს ის და ყოველთვის ხალისით შეხვდეს საჭირო შემთხვევას. შიო მღვიმელი ცდილობს საბავშვო ლექსები არ დაამძიმოს მძაფრი სოციალური მომენტებით, მაგრამ საბოლოოდ მაინც გვერდს ვერ უვლის მათ და თავის ნორჩ მკითხველს ობლებისა და ღარიბებისადმი თანაგრძნობას შთააგონებს. მორალური ზემოქმედების დროს პოეტი დიდ ემოციურ ძალას ამჟღავნებს. ვისაც ბავშვობაში წაუკითხავს „ობოლი“, მისთვის ადვილი გასაგებია, თუ რა ზემოქმედებითი ჯადოთი სარგებლობდა შიო მღვიმელი. ბავშვი იმდენად ღრმად თანაუგრძნობს პატარა ობოლს, რომ მისი მარტოობით გამოწვეულ სულიერად დამძიმებულ მდგომარეობას უშუალოდ განიცდის და მასაც „ცრემლი ჩამოსდის თვალზედა“.

მარტოდ მარტოა ობოლი,
ზის და ქვითინებს მწარედა,
მამა შინ არ ჰყავს საწყალსა,
დაც გამოსულია გარეთა.
გული ელევა საბრალოს
დისა და მამის ლოდინში,

ვერც კარი ჩაუკეტია,
ვერც ჩაწოლილა ლოგინში.
დედა-კი სხვაგან ჰგონია:
შორს, სადღაც სალოცავადა,
ვერ მიხვედრილა, თუ მამას
რისთვის აცვია შავადა.
ღამეა, ქარი გრიალებს,
ფიფქია ყეფავს კარებზე,
შინ-კი პატარას შიშისგან
ცრემლი ჩამოსდის თვალებზე.

ცრემლი ხშირად ბავშვის გრძნობასაც ასპეტაკებს.

ობლისადმი დახმარების მორალის მხრივ ბრწყინვალე ლექსია „დედა კაბას უკერავდა“. ამ ლექსში გამოხატულია დიდი ადამიანური ჰუმანიზმი. შეუძლებელია ეს ლექსი წაიკითხოს ბავშვმა და მთელი მისი არსება არ დაატყვევოს ღარიბისა და ობლისადმი დახმარების სურვილმა. ეს ის პირველადი გრძნობაა, რომელზეც შემდეგ თავისუფლად აღმოცენდება და გაიფურჩქნება სოციალური უკუღმართობის წინაალმდეგ ბრძოლის ბრწყინვალე იდეა.

დედა, თავის შვილს ელოს, რომელიც თბილისში სწავლობს, საახალწლოდ კაბას უკერავს, გასასინჯად მეზობლის ობოლ გოგონას—მელოს დაუძახა და ჩააცვა. მელოს ახალი კაბა დაშვენდა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ უფრო მწარე იყო გულისტკივილის განცდა, როცა გასასინჯად ჩაცმული კაბა გახადეს:

— თუ მიხდება, რაღადა მხდით,
ზედვე მეცვას ბარემაო,
ერთხელ ჩემშიც გაიხაროს
ობლობის მზე.-მთვარემაო! —

—გულისტკენით სთქვა და თან მწარე ცრემლები გადმოსცვივდა თვალთაგან. როცა შემდეგში ეს ამბავი

თბილისიდან ჩამოსულ ელოს უამბეს, მან მაშინვე დაუძახა მელოს, გულში ჩაიკრა, გადაჰკოცნა, ერთი ხელი ტანისამოსი აჩუქა და მეგობრობა აღუთქვა:

მე ახლები მამშვენებდნენ,
არც კი ჰქონდეს ამას ძველი?!".
აილო და უთავაზა
ტანსაცმელი ერთი ხელი.
და თან უთხრა: „ჩემი და ხარ
უსათუოდ, უსიკვდილოდ,
ხვალ მთელი დღე ერთად უნდა
გავატაროთ, მოვილხინოთ.
ამ ზაფხულს კი, როცა ჩემი
გათავდება სწავლის ყავლი,
უსათუოდ შენც ჩემსავით
წერა-კითხვას შეგასწავლი.

ამავ მოტივზეა აგებული „გულითადი თხოვნა", მაგრამ აზრობრივად ეს უფრო შორს მიდის. განცდებთან ერთად იქ ყოფაცაა გადმოცემული. დიდი რეალისტი მწერალი ამ ლექსებში რევოლუციამდელი ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს ხატავს. ათბობს ამ სურათებს წრფელი ადამიანური განცდებით და დიდი შინაგანი სულიერი მღელვარებით. ღარიბი და ობოლი ბავშვის მძიმე ხვედრი მაშინდელ ცხოვრებაში იყო ერთი ის მთავარი საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც აწუხებდა და აღელვებდა ყველა ცოტა-თუ-ბევრად პროგრესიულად მოაზროვნე ადამიანის გონებას. ეკონომიურ და პოლიტიკურ უთანასწორობაზე აგებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება ნამდვილი დედინაცვალი იყო. მშრომელი ადამიანი სილატაკეში ლაფავდა სულს. მით უმეტეს, მძიმე იყო ობოლი ბავშვების მდგომარეობა. ათასობით ასეთი ბავში ილუპებოდა შიმშილსა და სიტიტვლეში. მათზე

არავინ ზრუნავდა: არც საზოგადოება, არც სახელმწიფო. ბედისანაბარად მიტოვებულნი, „ბედის“ მსხვერპლნი ხდებოდნენ. ჩვენი ეპოქის ბავშვისათვის, სადაც ობლობა, როგორც სოციალური ცნება, აღარ არსებობს, შეიძლება ეს გრძნობა ისე უშუალო არ იყოს, მაგრამ გონების თვალით გადასულს შავბნელ წარსულში, მასაც აღელვებენ პოეტის მიერ დიდი უშუალობით დახატული სურათები.

პოეტი იძლევა ბავშვებს, რომელთა გრძნობებიც ჯერ კიდევ არ არის შერყვნილი ანტაგონისტური საზოგადოებრივი ცხოვრების ჭუჭყისაგან. ამ ბავშვთა უმანკო სულში პოეტი ხედავს წრფელ ადამიანურ გრძნობებს, ამჟღავნებს მათ და ამით ხელს უწყობს ბავშვთა ჰუმანიურ აღზრდას, რასაც იმ დროს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

პატარა ქეთოს ებრალება ობოლი და ღარიბი მეგობარი საბა. იგი „დაგლეჯილ-დაფლეთილი“ რომ ნახა, ტანში გააჟრჟოლა და მისდამი უდიდესი თანაგრძნობით გაიმსჭვალა. დედას მთელის გულით ევედრება:

> იცი, დედავ, რასა გთხოვ,
> აგრემც გენაცვალები;
> თუ გიყვარან გულითა
> შენი გოგას თვალები,
> ხვალ ხომ თონეს ახურებ
> დილით ადრეანადა,
> ნუ დამტოვებ, ჭირიმე,
> მე გულდარდიანადა.
> იქნებ გამოღვიძება
> ცოტა დამაგვიანდეს,
> თუ გინდა შენი ქეთო,
> რომ არ დანაღვლიანდეს,
> გოგასთვის რომ ამოჰქნა
> სწორედ, სწორედ იმფერი
> წყალობაანთ საბასაც
> დაუკარ ბედისკვერი.

ქეთო ამით არ კმაყოფილდება. რას უშველის საბას მდგომარეობას ბედისკვერი! ქეთო უფრო მეტი დახმარების აღმოჩენას სთხოვს დედას. პოეტი ბავშვის პირით ჯერ აცნობს მკითხველს საქმის მდგომარეობას, რათა მასზე ფსიქოლოგიურად იმოქმედოს, და შემდეგ ავედრებს შვილს დედას:

ფეხთ წინდები არ ეცვა,
არც ჰქონდა ქალამანი,
თითებზე წამოეცვა
ნახევრად რაღაც ჯღანი,
ერთ ფეხს იკანჭურებდა,
მეორეზე დგებოდა,
ვგრძნობდი ძალზე სციოდა,
და გული მიკვდებოდა.
შენი გულის ჭირიმე,

შემოგევლე თავზედა,
იქნებ რამე იფიქრო
წინდა-ქალამანზედა.
ნურაფერს შეგვიკერავ,
სწორედ ჩვენ დაგვაკელი,
შარვალი და ხალათი
გაუწყე ერთი ხელი.

ქეთოს თანაგრძნობა ობოლ საბასადმი მხოლოდ ლიტონ სიტყვებში არ არის გამოხატული. ქეთო თვითონ იკლებს და საბას აძლევს. ჩვენ დაგვაკელი და საბას შეუკერეო,—ეუბნება იგი დედას. სწორედ ამაშია ქეთოს სიწრფელე, მისი განცდების სიღრმე.—„თუ ამ თხოვნას შემისრულებ, მხოლოდ მაშინ გამითენდება ტკბილად ახალი წლის დილა, თუ არა და ტირილით დავივსებ თვალებს, რათა, იქნებ ცრემლით ვაამო ბედით განაწამებსო“,—ეუბნება ქეთო დედას და მის ამ სიტყვებში ერთგვარი კატეგორიული მოთხოვნაც ისმის.

ობლის ლუკმა მუდამ „ნაცრითა და ნახშირით“ იყო სავსე, მას ნუგეშად მხოლოდ ცრემლი ჰქონდა. სათუთი გრძნობების პოეტი გვერდს ვერ უხვევდა რა ცხოვრების ამ მძიმე სურათებს, იგი მძაფრად და დიდი სულიერი მღელვარებით აგვიწერდა მათ.

აქ სიკეთის გრძნობა ობიექტურად დაკავშირებულია სოციალურ მოვლენებთან — სიღარიბესთან, ობლობასთან. ეს ის პირველადი გრძნობებია, რომლებზეც შემდეგ შეიძლება თავისთავად გაიფურჩქნოს მაღალი პოლიტიკური და სოციალური შეგნება. ამგვარად, არ არის სწორი, როცა ფიქრობენ, თითქოს შიო მღვიმელი აბსოლუტურად გვერდს უვლიდეს იმდროინდელი მღელვარე სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გაშუქებას ბავშვებისათვის.

შიო მღვიმელის პოეზიაში განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დათმობილი სიკეთის, როგორც მორალური კატეგორიის, მხატვრულ ქადაგებას.

შიო მღვიმელს აქვს საინტერესო ზღაპარი — „ოქროს თავთავი“, რომლის ძირითადი იდეა ისაა, რომ ადამიანი მუდამ კეთილისმოქმედი უნდა იყოს. ამ ზღაპარს, ისევე, როგორც შიოს ზოგიერთ სხვა ნაწარმოებს, თავისი დროის ერთგვარი რელიგიური კვალი ამჩნევია. ამბავი ვითარდება მისტიკურ-რელიგიურ ფორმაში, როგორც თითქმის ყოველი ადრინდელი ხალხური ზღაპარი. მაგრამ, რადგან იქ მთავარია არა მისტიკური ამბავი, არამედ მორალური იდეა, ამიტომ ბავშვის ყურადღებას იქცევს არა პირველი, არამედ მეორე. ბავშვი ყურადღებას არ აქცევს იმას, თუ რა როგორ ხდება. იგი ბოროტებისა და სიკეთის მუდმივი

შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება და მხოლოდ ამ ორ მომენტს აკვირდება, შეიცნობს.

„რასაც დასთეს, იმას მოიმკი“,—ასეთია ამ პოემა-ლექსის ფილოსოფიური აზრი, გადმოცემული მეტად მარტივ და გასაგებ მხატვრულ ფორმაში. ის, ვინც სიკეთეს ჩაიდენს, სიკეთეს მოიმკის, საბოლოოდ გამარჯვებული გამოვა, ყველას შეუყვარდება და ყველასაგან პატივისცემას დაიმსახურებს. შიო მაგალითების ჩვენების საშუალებით ბავშვს აჯერებს, რომ მან უბრალო ბოროტებაც კი არ უნდა ჩაიდინოს, არ უნდა იცრუოს და სხვ.

კეთილისა და ბოროტის გამომჟღავნება ხშირად შიო მღვიმელს ფრინველების, მწერებისა და ცხოველების ურთიერთობაში აქვს გადმოცემული. მცირე და საშუალო ასაკის ბავშვისათვის გაცილებით ადვილად ასათვისებელი ხდება ნაწარმოების შინაარსი ამ გზით, რადგან ის ფრინველში, ცხოველში თავისთავსა და ამხანაგებს წარმოიდგენს. ბავშვი ბაძავს მას, რასაც მწერალი უჩვენებს ცხოველების ურთიერთობაში. ამ ურთიერთობაში ადვილად აღმოაჩენს იგი კეთილსა და ბოროტს, დადებითსა და უარყოფითს, ე. ი. ცუდსა და კარგს. ოთხი ძმა პეპელა ტკბილად ცხოვრობდა. ერთ დღეს, როცა ისინი ბოსტანში იყვნენ, დიდმა წვიმამ მოუსწრო და საშინელ განსაცდელში ჩავარდნენ. ამ განსაცდელის დროს მათ ერთმანეთი არ მიატოვეს, ოთხივემ ერთად დაიწყო თავშესაფრის ძებნა, ჯერ ერთ ყვავილს მიმართეს, მოგვეც თავშესაფარიო, „წვიმამ მოგვასწრო, დაგვასხრობს, წაგვიღებს ნიაღვარიო“. ამ ყვავილმა მხოლოდ ერთს შესთავაზა ბინა, მაგრამ ძმებს ერთმანეთის დაცილება არ შეეძლოთ და

ასეთ „თავაზიან“ გულისხმიერებაზე უარი სთქვეს; ძმებმა ახლა მუდარით მეორე ყვავილს მიმართეს: ამ ყვავილმაც მხოლოდ ორს შესთავაზა თავშესაფარი; პეპლებმა ამაზეც უარი სთქვეს, რადგან არ შეეძლოთ ბედის ანაბარად დაეტოვებინათ დანარჩენი ორი ძმა, ერთად უნდა ეცადნათ თავის გადარჩენა. წვიმა მატულობდა, ბალი ნიაღვარს მიჰქონდა, პეპლები დასველდნენ, ფრენა უმძიმდათ, საფრთხე თვალწინ ედგათ. ახლა ისინი ზამბახთან მიფრინდნენ და შეევედრნენ: „ნუ ჩაგვიკეტავ შენც კარებს, მიგვიღე, მანამ ცა ღრუბლებს გადიყრის, გამოიდარებსო“. ზამბახმა სამ მათგანს შესთავაზა ბინა, ძმებმა ერთხმად უპასუხეს:—„ვერ გავშორდებით ერთმანეთს, ვართ ერთი დედის შვილებიო“. პეპლები დაღონდნენ, საგონებელში ჩავარდნენ. უკანასკნელად მიმართეს უპრეტენზიო კვახის მცენარეს, რომელსაც ფართოდ გაედგა ღეროები და უზარმაზარი ყვავილები გაეშალა. კვახი სიამოვნებით შეხვდა ძმათა თხოვნას:

დიდ სიხარულით მიგიღებთ,
ბლომად მაქვს ბინა-ჭერიო,
თავი არ მომაქვს სიტურფით,
არცა ვარ მშვენიერიო;
მაგრამ, რითაც კი შევიძლებ,
გასიამოვნებთ გულითა,
ღარიბის ლუკმა და ბინა
სავსეა სიყვარულითა.

მადლიერმა პეპლებმა მეორე დღეს მადლობა გადაუხადეს კვახს და მხიარულად შინისაკენ გაფრინდნენ.

მეგობრობისადმი ერთგულების სულისკვეთებით არის გამსჭვალული „რწყილი და ჭიანჭველა“. ეს ლექსიც, როგორც გოგებაშვილის „რწყილი და ჭიანჭვე-

ლა“, ხალხურ ვარიანტზეა აგებული, განსხვავება ისაა, რომ შიოს მთლიანად ლექსად აქვს დამუშავებული, — მორალი საერთოა: რწყილმა მრავალი ტანჯვა და წამება გადაიტანა, მაგრამ განსაცდელის ჟამს მეგობარი ჭიანჭველა მაინც არ მიატოვა ბედის ანაბარად, ყველაფერი გააკეთა მისი გადარჩენისათვის.

პოეტი მეგობრობასა და სიკეთეს თავის შემოქმედებაში ფართო ადგილს უთმობს. მისთვის მშობლიური სიყვარული, ძმობა, მეგობრობა, სიკეთე,—ერთი დიდი ადამიანური გრძნობის განუყრელი ნაწილებია, მათ ერთმანეთთან კავშირსა და ურთიერთ ზემოქმედებაში იძლევა. ერთ-ერთ ლექსში („მერცხალი“) პოეტმა ეს გრძნობები დიდი სულიერი მღელვარებით დახატა. ამ ლექსით ნორჩი მკითხველის სულზე ავტორი გამაკეთილშობილებელ გავლენას ახდენს.

ერთმა ცელქმა და ონავარმა ბიჭმა მერცხლის ბარტყს ქვა ესროლა და ფრთა მოსტეხა. ბარტყი დაკუტდა, ბუდეში დარჩა და გარეთ ველარ გადიოდა, დაღონებული და მოწყენილი იყო, მართალია, ყველა,—დედ-მამა, და-ძმები და კეთილი ბავშვები აულ მასზე ზრუნავდნენ, კვებავდნენ და ეალერსებოდნენ, მაგრამ სევდა მაინც არ სცილდებოდა, „მას თავისუფლად მინდორში გაფრენა ენატრებოდა“, თავისი შრომით ცხოვრება სურდა.

ზაფხული გავიდა; დადგა მოზამთრე ფრინველთა თბილ ქვეყნებში წასვლის დრო. მერცხლებიც მოემზადნენ წასვლისათვის, არ უნდოდათ ფრთამოტეხილი მერცხალი აქ დაეტოვებინათ, ეშინოდათ შიმშილისა და სიცივის მსხვერპლი არ გამხდარიყო. ამოუდგნენ მხარში და გაფრინდნენ. მაგრამ დარწმუნდნენ რომ შეუძ-

ლებელი იყო მისი ასე წაყვანა. იძულებული შეიქნენ მარტოდ დაეტოვებინათ ბუდეში და გულისტკივილით გამოსთხოვებოდნენ. ბუდეში დარჩენილ მტირალსა და დანაღვლიანებულ მერცხალს ბავშვებმა მიაქციეს ყურადღება,—შეწუხდნენ მისი მდგომარეობით და დედას შეევედრნენ—რამე ვუშველოთ, დახმარება გავუწიოთ. შვილების მუდარით ნასიამოვნებმა დედამ მერცხალი ჩამოიყვანა და შინ შეიყვანა. ბავშვებმა მოუარეს მერცხალს, მზრუნველობა არ მოაკლეს, ფრთა მოურჩინეს და თავისუფლად გაუშვეს. „მოშინაურდა მერცხალი, გული კვლავ მისცა ლხენასა".

და როცა გამოზაფხულდა, „გამოჩნდა გუნდი მერცხლებისა", აქ დარჩენილი მერცხალი მოუთმენლად ელოდა მშობლების დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. მშობლები დახოცოდა უცხოეთში. ობლადდარჩენილმა მერცხალმა მშობლების დაკარგვა ვერ აიტანა, გული გაუსკდა და მოკვდა. ამ პატარა და სათუთ ლექსში დიდი ადამიანური გრძნობაა გამოხატული.

შიო მღვიმელის პოეზიაში სიკეთის ქადაგებას მთავარი ადგილი უჭირავს. მაგრამ ამ ქადაგების დროს იგი მშრალ დიდაქტიკას, უბრალო და მომაბეზრებელ დარიგებას კი არ მიმართავს, არამედ—კონკრეტული სახეებისა და მაგალითების მხატვრულად ჩვენებას. ამ ჩვენების გზით ბავშვზე უშუალო ემოციურ შთაგონებას ახდენს, მის სულში ამა-თუ-იმ რეაქციას იწვევს, აღაგზნებს კეთილი, სასარგებლო საქმისათვის.

აი, ცელქი და მოუსვენარი ყმაწვილი, დილით ადრე ადგა და ხილის საჭმელად ბაღში ჩაირბინა. აქ უცებ იგი წააწყდა მახეში გაბმულ ჩიტს, გამოხსნა, ძაფი მოაბა ფეხზე და მაღლა ჰაერში შეაფრინა, მერე თუ-

თით გააძლო და მოუალერსა, მაგრამ ნახა, რომ ჩიტმა არ მოილხინა და კვლავ დაღვრემილი იყო, მაშინ გაუშვა:

არ მოგიწამლავ სიცოცხლეს,
არ ჩაგსვამ გალიაშიო,
იცელქე, ინავარდევი
ლაჟვარდ-კამარა ცაშიო.
ვიცი, ტყვეობა სხვის ხელში,
რომ ჯოჯოხეთი არიო,
აჰა, გაფრინდი, ჭიკჭიკით
შეამკე მთა და ბარიო.

ამავე განწყობილებას ეხმაურება „ჩიტი და ბავშვი“. ამ ლექსში გამოხატულია მშობლების დატყვევებით გამოწვეული გულისტკივილი პატარა ჩიტისა. ბავშვს გაოცებს და ჩააფიქრებს ის გარემოება, რომ ჩიტს არ ახარებს გაზაფხულის მოსვლა და შეეკითხება:

„რად ხარ ეგრე დაღვრემილი,
ფრთამალხაზო ჩიტუნია!“—

ჩიტი აუხსნის ბავშვს თავის გულისტკივილს და შეევედრება,—თუ სადმე ნახო გალიაში დატყვევებული ჩემი მშობლები, დაიხსენი, გაათავისუფლე და აი, სწორედ მაშინ დავიწყებ მხიარულ ჭიკჭიკს და შენს ამაგს არასოდეს დავივიწყებო.

პოეტის შემოქმედებაში ერთერთ საუკეთესო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს პოემა-ლექსი „ბეღურა ჩიტის ამბავი“. იგი ყურადღებას იქცევს, როგორც პოეტური ოსტატობით, ლაღი სტრიქონებითა და ცოცხალი რიტმით, ისე ღრმა იდეით, კეთილშობილი მორალით. ძირითადი აზრი ამ ლექსისა იმაში მდგომარეობს, რომ შთააგონოს მკითხველს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სიყვარული. ის, ვინც თავის ძალასა და

შესაძლებლობას გულწრფელად მოახმარს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეს, საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას დაიმსახურებს.

პატარა ბელურა სევდამორევით ეუბნება დედას:

დღეს დილით ადრე გავედი
პატარა ბაღის პირადა
ყური მოვკარი, გალობდა
ბულბული მეტად ტკბილადა.
ხმა იშვიათი, ხმა ნაზი
ცას ზარივითა სწვდებოდა;
სმენად გადიქცა მიდამო,
თვით ნიავ-ქარიც დგებოდა,
თავი დახარეს სასმენად
მინდვრის ვარდმა და იამ;
სასოებით თქვა ვილამაც,
— ვიშ! ეს ხმა რა რიგ მიამა!
რა მშვენიერი რამ არის,
ამას ვით ასწერს ენაო!
ყურს უგდებ, მაგრამ ვერ ძღები
და არც გწყინდება სმენაო.

პატარა ბელურა უყურებს ბულბულის საამო სტვენით დამტკბარსა და მოხიბლულ ადამიანს, ბუნებას და გული სტკივა, სევდა ერევა, რომ არ შეუძლია ასე მომხიბლავად იმღეროს, დაატკბოს მიდამო და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახუროს. რაც უფრო ღრმად უკვირდება და ეცნობა ცხოვრებას, მით უფრო ეზრდება სევდა. ბულბულის შემდეგ მან დაინახა, თუ როგორ ხარობდნენ ბავშვები ლამაზი წანწყარა ჩიტის დანახვაზე და დედას კვლავ სევდიანად ეუბნება:

„ბავშვების ტკბილი სიცილი
დიდხანს მესმოდა ზთანად
და ვსთქვი: „ვინ მომეგებება
მე ასე ალერსთანად?!".

და, როცა ბელურამ დაინახა, თუ რა უსაზღვრო მხიარულებას ეძლეოდნენ ბავშვები და მადლობას უთვლიდნენ გაზაფხულის მახარობელ მერცხლებს, რომლებიც სახლის ხარიხებზე ლამაზად შემომსხდარიყვნენ და ჭიკჭიკობდნენ, სევდას ველარ გაუძლო, თვალთაგან ცრემლები წასკდა,—რატომ მეც არ ძალმიძს ბავშვების ცელქი გულის მოგებაო... დედამ აქ შვილი ანუგეშა და უთხრა:

„მართალია, ვერ გაართობ ქვეყანას შენ ბულბულივით სტვენითა, ვერც შეედრები წანწყარას სილამაზით და ფერითა, ვერც მერცხალივით იქნები მახარობელი ზაფხულის, მაგრამ,

რაკი არ შეგვწევს ყველა ეს,
ვიყვნეთ კეთილნი გულითა,
სიკეთეს ვსდიოთ ამ ქვეყნად,
სიხარულ-სიყვარულითა,
ვაკეთოთ, რაც სხვებისაგან
კეთილად ჩაითვლებოდეს,
და ყველას ვასიამოვნოთ,
რითაც კი შეგვეძლებოდეს.

ნუ მიაქცევ ყურადღებას იმას, რომ ბულბულივით ტკბილი ხმა არა გვაქვს, ჩვენი ხმითა და შესაძლებლობით ვემსახუროთ ქვეყანას, თუ „ჩაგრულებს დავატკბობთ—ეს ყველასა სჯობიაო“, და უყვება, როგორ მოხიბლა თავისი უბრალო ხმით შრომისაგან დაღლილი ქალი: ერთხელ, ერთი სახლის ფანჯარასთან ჩამოვჯექი, თვალი შევასწარი ოთახში საკერავთან მჯდომ ქალს, რომელიც შრომისაგან დაღლილიყო და ცრემლმორეული სჩიოდა, რომ „ბედმა არგუნა ამ ქვეყნად მხოლოდ ტანჯვა და წამება“. შემეცოდა, და მისთვის რომ სევდა გამექარვებინა, როგორც შემეძლო გალობა

დავიწყე, დარდიან გულზე ქალს ესიამოვნა ჩემი გალობა, სახე გაუნათლდა, გამხიარულდა და მადლობა გადამიხადაო. დედის ამ საუბარმა პატარა ბეღურა ჩააფიქრა... მას შემდეგ დაუღალავად შრომობდა, აგროვებდა მინდორში პურის მარცვალს და ეხმარებოდა სნეულსა და გაჭირვებულს.

ერთხელ ბეღურამ მინდორში შხამით მოწამლული მარცვალი შესჭამა და როდესაც კვდებოდა, თან დარდად მხოლოდ ის მიჰყვებოდა—შესძლო თუ არა თავისი სიცოცხლე საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში გაეტარებინა:

დედილო, მითხარ, შევძელი
სიცოცხლით ვისმე შველაო,
თუ ვიყავ სათნო, კეთილი?
გულახდით მითხარ ყველაო.

როცა შეიტყო დედისაგან, რომ ყველას უყვარდა და ყველგან ქებით იხსენიებდნენ, კმაყოფილება იგრძნო და „გულს მოეფინა ლხენა".

კეთილი ბეღურა მოკვდა. ფრინველებმა უდიდესი პატივით და დიდებით დაკრძალეს იგი. კუბო ათასნაირი ყვავილებით შეამკეს. მისი ცხედარი „რვა მერცხალს წყნარად მიჰქონდა ფრთებითა", ბულბული სამგლოვიარო ხმაზე გალობდა, უკან კი ყველა ჯურის ფრინველი გუნდ-გუნდად მისდევდა.

პატიოსანმა და გულკეთილმა შრომამ აამაღლა და უკვდავჰყო პატარა ბეღურა:

დღეიდან პატრონადა ჰყავს
დიდი მინდორი ტრიალი,
დედისწილ ნანინას ეტყვის
ვერხვის ფოთლების შრიალი.

ამ პოემაში შესანიშნავად არის პოეტის მიერ განცდილი და ნაზი, ბავშვისათვის მისაწვდომი და გასაგები

ფერებით დახატული დიდი მოქალაქეობრივი იდეები. პოემა ამაღლებს ბავშვის შეგნებას, უნერგავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი სიყვარულს და აკეთილშობილებს მის გრძნობებს.

შიო მღვიმელი ნელ-ნელა და თანდათანობით აცნობს ბავშვს საზოგადოებრივი და ადამიანთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს. მისი პოეზიის მომხიბვლელობა და ზემოქმედებითი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ უშუალოა და გულწრფელი, სადაა და ღრმა. პოეტი არ იფარგლება მხოლოდ კარგი მაგალითების ჩვენებით, იგი ხშირად ჰქმნის კონტრასტებს, რათა უფრო მკაფიო და გასაგები გახდეს ნორჩი მკითხველისათვის ბოროტი და კეთილი, კარგი და ცუდი. პოეტი არ უმალავს ბავშვებს, რომ ცხოვრებაში არსებობს ბოროტიც, რომ ზოგიერთი სულით მახინჯი ადამიანი ამჟღავნებს ეგოიზმს, მეგობრის სიკეთეს ბოროტებით უპასუხებს და სხვა, რაც ადამიანური მორალის თვალსაზრისით გასაკიცხია და დასაგმობი.

უპატრონოდ დარჩენილი და უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ბაჭია შეხვდა კურდღელს და თავისი გასაჭირი უამბო. კურდღელმა მზრუნველობა გაუწია, ბინაში შეიფარა და საცხოვრებლად თავისი ბოსტანი შესთავაზა:

> თუ გშიან, აი, ცანცალაც,
> ამ მდელოს ჩემი ჰქვიანო,
> რაც გნებავს ბლომად ინებე,
> სანამ კი შეგიძლიანო...

ბაჭიას რომ გულკეთილი კურდღელი არ შეხვედროდა, იგი ცხოვრებაში დაიღუპებოდა, მშიერ-მწყურვალი მოკვდებოდა. მაგრამ უგუნურმა ბაჭიამ კურდღლის

სიკეთე არ დააფასა. როცა წამოიზარდა და გასუქდა, გაამპარტავნდა, გამედიდურდა, დაივიწყა თავისი წარსული და განიზრახა კურდღლის გაძევება საკუთარი ბინიდან. ასე გადაუხადა სიკეთე ბრიყვმა და უგუნურმა ბაჭიამ კურდღელს. პოეტს ეს ისეთი ფერებით აქვს დახატული, რომ ნორჩი მკითხველი კიცხავს ბაჭიას უზნეო საქციელს.

პოეტის ამ ლექსებს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ფრინველთა და ცხოველთა ყოფა-ცხოვრებაზე აგებული სურათები ნორჩ მკითხველს მაშინვე გადააქვს ადამიანთა ცხოვრების სფეროში, გაჰყავს პარალელები, ახდენს შედარებებს, დაკვირვებას, აქტიური ხდება და უშუალოდ ეხმაურება, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე შეგნებით, იგი მაშინვე იმუშავებს დამოკიდებულებას აღნიშნული მოვლენებისადმი და, რომ შეეკითხოთ, როგორი აზრისა ხარ ამაზე, ან იმაზეო, რასაც პოეტი ხატავს,—გარკვეულ პასუხს მიიღებთ.

შიო მღვიმელმა ძალიან კარგად იცის ბავშვის ბუნება, მისი ინტერესები; პოეტი შესანიშნავად ფლობს ბავშვის ფარულ ინსტიქტებს და ღრმად მოფიქრებული ლექსებით ხელს უწყობს მათს (ამ ინსტიქტების) სწორ წარმართვას; მის პოეზიაში ვხვდებით ადამიანურ განცდათა მრავალმხრივ გაშუქებას. არ რჩება ადამიანურ განცდათა არც ერთი მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც პოეტს სრულყოფილობით არა ჰქონდეს გაშუქებული, აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ამ მოვლენების გაშუქება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, განყენებულად როდი ხდება; ისინი მოქცეული არიან ერთ გარკვეულ მსოფლშეგრძნობაში, გარკვეულ

პედაგოგიურ მიზანდასახულებათა რკალში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პოეტი ბავშვში აღვიძებს პირველადს კეთილშობილურ განცდებს, რომლებიც შემდეგში ხდებიან დიდი მოქალაქეობრივი სულისკვეთების გამომუშავების საფუძველი.

შიო მღვიმელი როდი კმაყოფილდება მხოლოდ აშკარა სიკეთისა და აშკარა ბოროტების ჩვენებით, მათი ურთიერთდაპირისპირებით. ბავშვის რთული ბუნება მოითხოვს სხვა თვისებათა აღზრდასაც, და აი, პოეტი თავის ნორჩ მკითხველში იწვევს ჯანსაღი სიბრალულის გრძნობასაც, როგორც ადამიანური სამართლიანობის ერთერთ მასაზრდოებელ სათავეს. როცა ბავშვი წაიკითხავს მერცხლის ულრმესი გულისტკივილით აღსავსე ჩივილს:

მე პაწია მერცხალი ვარ,
მოჭიკჭიკე, მოალერსე,
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!
სიყვარულით, სიხარულით
მთები, ზღვები გადმოვლესე,
სანამ შენთან მოვიდოდი,
ერთხელაც არ დავიკვნესე, —

მის სულში თბილი ძვრა მოხდება, შეირხევა მისი გონებაც და, თითქოს თვალი ახლა აეხილაო, სულ სხვანაირად შეხედავს მერცხალსაც და ყველაფერს, რაც მის გარშემო მსგავსი რამ ხდება. პატარა მერცხლის საშუალებით პოეტი დიდ მიზანს აღწევს, აჩქარებს ნორჩ მკითხველში ჩადენილი მოქმედების სამართლიანობის შეცნობას, იწვევს მასში დაფიქრებას, აზროვნებას.

ცელქმა ილომ პატარა ჩიტი დაიჭირა. მიესაყვარლა, კარგად გაუმასპინძლდა, მაგრამ ჩიტმა მაინც მოიწყი-

ნა. ილო შეწუხდა, უცბად ვერ აეხსნა, თუ რატომ იყო ჩიტი ასე დაღონებული, შემდეგ გაიფიქრა: პატარა ჩიტი ალბათ დედაზე ფიქრობსო. მაშინვე გონებაში პარალელი გაატარა ჩიტისა და თავის დედის შორის, გაახსენდა, თუ როგორ გულგახეთქილი დაეძებს ხოლმე დედა, როცა ილო სახლში დროზე მოსვლას აგვიანებს, იფიქრა, იქნება ახლა მისი დედაც ასე გულგახეთქილი დაეძებს შვილს და დარდობსო,—უმალ გაუშვა ჩიტი და უთხრა:

აჰა, გაფრინდი ბინაზე,
დედა შენ ნახე თავადა,
თორემ დაგიწყებს ლოდინსა,
ჯავრით გახდება ავადა.

თუ პოეზიას, ჩერნიშევსკის სიტყვებით რომ ვსთქვათ, როგორც ცოდნისა და განათლების გამვრცელებელს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში, საერთოდ, მით უფრო დიდია და განუზომელი საბავშვო პოეზიის აღმზრდელობითი და გამანათლებელი მნიშვნელობა. მხატვრული მწერლობა—ეს მეორე სკოლაა.

შიო მღვიმელისათვის იგი—ლიტერატურა — უფრო მეტს ნიშნავდა. მხატვრული ლიტერატურა, პოეტის აზრით, არა მარტო გონებრივად ამაღლებს, არამედ ზნეობრივადაც ასპეტაკებს და მოქალაქეობრივად ზრდის ბავშვს. ისეთივე ძლიერი და წარუშლელია ის შთაბეჭდილება, შთაგონება, რომელსაც ბავშვი კარგი მხატვრული წიგნის წაკითხვის შედეგად მიიღებს, როგორც პირველი გაკვეთილისა სკოლაში. საბავშვო ნაწარმოები ბავშვის განუყრელი თანამგზავრია მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამიტომ საბავშვო მწერალს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. შიო მღვიმელის

ცხოვრება და შემოქმედება ამ პასუხისმგებლობის შეგნების ბრწყინვალე განსახიერებაა. იგი მთელი არსებით მიეცა საბავშვო პოეზიას და ამ პოეზიისათვის იწვოდა შემოქმედებრივად. შიო მღვიმელს გულწრფელად უყვარდა ბავშვი და მისი მომავალი პოეტის სასიცოცხლო საგანს შეადგენდა. იგი სავსებით ფლობდა ბავშვის სულს, კარგად იცოდა მის ინტერესთა და მისწრაფებათა სფერო, მისი სუსტი და ძლიერი მხარე. ეს აძლევდა საშუალებას შიო მღვიმელს, როგორც პოეტს, თავისუფლად და გაბედულად ელაპარაკნა ნორჩ მკითხველთან ცხოვრების ყველა საკითხზე, რთულსა და მარტივ თემებზე. ტყუილად კი არ უთქვამს დიდ ვაჟას მასზე:

ბავშვთ გულის მესაიდუმლევ,
ჰშრომობ მღვიმეში ჩუმადა,
ბავშვების ჭირი და ლხენა
გულს მიგაჩნია წყლულადა.

შიო მღვიმელი ფიქრობდა, რომ ბავშვის ხასიათი ყალიბდება აღზრდისა და გარემო წრის ზეგავლენით. ბავშვი ბუნებით არ არის ბოროტი. იგი ასეთად შეიძლება იქცეს გარშემო შექმნილი პირობების გავლენით. ამიტომ, პოეზიის აღმზრდელობითი ამოცანა იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ ბავშვს კეთილად აღზრდის საჭირო სულიერი გარემო შეუქმნას. ეს გულისხმობს იმას, რომ ბავშვს მისთვის გასაგებად პასუხი გასცე ყველა იმ კითხვაზე, რომლებიც კი წამოიჭრებიან მის წინაშე ამა-თუ-იმ ასაკში. პირველად ბავშვი ცხოვრების მოვლენებთან თავის დამოკიდებულებას თამაშით იწყებს. მისი თამაში საკუთარი ინსტიქტების ბუნებრივი გამომჟღავნებაა. თვითონ მას შეცნობილი არა აქვს,

იგი, როგორც უბრალო თამაში. მისთვის თამაში ერთსადაიმავე დროს გართობაცაა და შრომაც,—რასაკვირველია, ხალისიანი შრომა. ამიტომ თავიდანვე ბავშვებში, მოცემულია რა ინსტიქტური მიდრეკილება შრომისაკენ,—ეს გარემოება უნდა გახდეს ბავშვის სწორი აღზრდის, ნებისყოფისა და ინტელექტის განვითარების ერთი უმნიშვნელოვანესი დასაყრდენთაგანი.

აქედან, ადვილი გასაგებია ის, თუ რატომ უჭირავს ასე დიდი ადგილი შიო მღვიმელის პოეზიაში თამაშს, სახალისო და გასართობ ლექსებს. ამ ლექსებში შევხვდებით ორ მომენტს, ერთმანეთთან ორგანიულად დაკავშირებულს. ერთი—თამაშთან, გართობასთან, სახალისო მოვლენებთან შერწყმულია ზნეობრივი და გონებრივი აღზრდის მიზნები, მეორე—თამაშიდან ბავშვი თანდათან გადადის შრომის უფრო მაღალ ფორმაზე,—ე. ი. აქ ვხედავთ შრომისმოყვარეობის აღზრდას. ბავშვის ფიზიკური აღზრდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავიდანვე ისეთნაირად წარიმართება, რომ ჯანსაღი შრომა მისი სულიერი მოთხოვნილების საგანი ხდება. ასეთ ლექსებშიც პოეტი ბავშვის ბრწყინვალე ცოდნას ამჟღავნებს. იგი ნახულობს ყველა ასაკის ბავშვისათვის გართობისა და „შრომის" შესაფერ სახეებს, რითაც ძლიერ აღმზრდელობითსა და ემოციურ ზეგავლენას ახდენს მასზე.

პატარა თამარი თავს დასტრიალებს დედოფალას, კაბებს უკერავს და დახმარებისათვის თავის მეგობარ კესოს მიმართავს—„ჩემსკენ გადმოიარე... შრომა გაიზიარეთ". ამ დროს არც კესო ყოფილა გულხელდაკრეფილი, უსაქმო და თავაზიანად ბოდიშობს, რომ არ შეუძლიან თხოვნა შეუსრულოს:

სწორედ მაგ ყოფაში ვარ,
რომ ილოდე, კესა, მე
და ნუ დამენდურები,
შენი გულის კვნესამე!

ბავშვის ასეთი დაუღალავი „მშობლიური“ მზრუნველობა გადმოცემულია ლექსში „ჩემი დედოფალა“. ბავშვი განუწყვეტლად, დილიდან საღამომდე შრომობს, გულწრფელად და მთელი გატაცებით ზრუნავს თავის პატარა დედოფალაზე, თავს ევლება მას, უვლის, ფუსფუსებს,—ან კი როგორ შეიძლება სხვანაირად! პატარა გოგონა მზრუნველი და შრომისმოყვარე დედის როლშია და ყველაფერს გულწრფელად და სიყვარულით აკეთებს,—რასაც აკეთებს, აკეთებს არა მხოლოდ გართობისათვის უბრალოდ, განიცდის კიდეც მას. მთელი ეს შრომა არ ღლის და არ ბეზრდება იმიტომ კი არა, რომ ენერგიას არ ხარჯავს ბავშვი, არამედ იმიტომ, რომ პოეტი აკეთებინებს იმას, რაც ბავშვს უყვარს და აკეთებინებს ისე, როგორც თვით ბავშვის ბუნებას, მის ასაკს შეესაბამება.

შიო მღვიმელის პოეზიაში ბავშვი ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობს. ბავშვი ბუნებით რომანტიკოსია და მთელი რომანტიკული გატაცებით ეძლევა თამაშსაც და შრომასაც.

პატარა გოგონა დილით ადრე ადგება, რათა თავის პაწია დედოფალას სუფთად ჩააცვას, ჩაი მოუმზადოს, დაალევინოს, სარეცხი დაურეცხოს, გასაშრობად გაჰფინოს, სანამ სარეცხი გაშრება, სადილის მომზადებას შეუდგეს, „როგორც კარგი მზარეული“, „მამიშივდეს, რას იფიქრებს შინაური, გარეული?!“—ამბობს გოგონა. აქ ბავშვი უკვე ანგარიშს უწევს

არა მარტო თავის ესთეტიკურ გემოვნებას, მოთხოვნილებას, საზოგადოებრივ აზრსაც, რომ მის ბავშვზე ცუდი არავინ არა სთქვას—უსუფთაოდ იცვამს, მშიერიაო. როცა სადილს მორჩება, მერე სუფთა ჰაერზე და ჩრდილში უნდა ასეირნოს, „საღამოზე ისევ ჩაით ყელი ჩაუკოკლოზინოს, გახადოს და ტკბილი ნანით სარეცელში ჩააწვინოს".

ბავშვის შრომა, მისი დედობანას თამაში, ამით როდი თავდება:

თქვენ გგონიათ ამით მოვრჩი?
არ მოგიკვდეთ ჩემი თავი!
ახლა უნდა ლამპის შუქზე
ვკერო მისი საკერავი.
დაფლეთილს ხომ არ ვატარებ,
არც მოხდება, არც იქნება!
ერთი სიტყვით, დღე და ღამე
სულ არა მაქვს მოსვენება!

„მძიმედ" წარმოსთქვამს ამ უკანასკნელ სიტყვებს, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ბავშვი სწუხდეს ამ ინტენსიური შრომისათვის,—პირიქით, შინაგანი სიამაყის გრძნობა უფრო მეტია მასში, ვიდრე სხვა რამ. პოეტი შრომას ბავშვს სახალისო ფორმით უხატავს და ამით აყვარებს მას, რაგინდ „მძიმე" არ უნდა იყოს იგი. ამას, უპირველესად, კიდევ იმით აღწევს პოეტი, რომ ამ შემთხვევაშიც მტკიცედ იცავს ასაკის მოთხოვნილებას, მარტივიდან რთულზე გადასვლის პედაგოგიურ პრინციპს. ბავშვს არ დააკისრებს იმას, რაც მის ცოცხალ, რომანტიკულ ბუნებას ბოჭავს, მის ენერგიას აღემატება. შიოს ბავშვის „შრომა" აღსავსეა ხალისითა და მიმზიდველობით იმიტომ, რომ ის მის რომანტიკულ ბუნებას შეესატყვისება,—თამაშის სახეს ატარებს. ეს „შრომა-თამაში" ნორჩ მკითხველში წაბაძვას იწვევს.

კუდრაჭა და მაკვილაკი, ენამოტეხილი ნინა („ნინას სიზმარი") ადრიანად წამოიჭრა, დედასთან მიირბინა და აღტაცებით უამბო სიზმარი: მის დედოფალას, აქამდე მუნჯს, ენა ამოედგა, „ჯარასავით ტრიალებდა, უკერავდა შვილებს კაბას და უფროს ქალს თვით აცმევდა წითელ კაბას". ბავშვი აქ, სიზმარში ხედავს, იმას, რითაც თვითონ არის გატაცებული.

ამავე განწყობილებას ეხმაურება კოწოსა და კუწოს დიალოგი:

კოწომ კუწოს გადასძახა:
გაახილე, კუწო თვალი?
ერთი მითხარ, გენაცვალე,
როგორა გყავს დედოფალი?
— ქალო, რაღა როგორა მყავს,
იკითხება კიდევ განა?
წუხელ, სანამ არ ისწავლა
ნუცას სკოლის ანბანა,
არც დაწვა; არც დაიძინა,
აღარც თუ მე მომასვენა.
აჭიკჭიკდა მერცხალივით,
მოიქარგა ქორფა ენა...

ამ „წუხილში" გამოხატულია ის დიდი სიამოვნება, რომელიც მას თავისი დედოფალას სწავლისადმი გულმოდგინებამ აგრძნობინა. ეს არის არა დედოფალას, არამედ თვით ნორჩი გოგონას ინსტიქტი, მისი დაუცხრომელი ლტოლვა გულმოდგინე სწავლისაკენ.

ესაა ნორჩი ბავშვის ლამაზი და მიმზიდველი ოცნება; ბავშვი უფროსისადმი წაბაძვით მიილტვის სწავლისაკენ, მიილტვის ისევე ინსტიქტურად, როგორც მიილტვის წითელი და მხიარული ფერისაკენ, სათამაშოებისაკენ, მაგრამ შრომისმოყვარე ბავშვი, იწვნევს რა

სწავლის პირველ სიტკბოებას, უკვე შეგნებულად დაეწაფება სწავლას.

სწავლას არა აქვს ის მიმზიდველობა, რაც გასართობ „შრომას"—თამაშს: ეს შრომა უფრო მძიმეა, დამღლელიც, მაგრამ რაკი თავიდან მის აღზრდას საფუძვლად ედო შრომის პრინციპი, შემდეგ ამ „მძიმე" შრომას ბავშვი ადვილად სძლევს, მასშიც ნახულობს სიხარულისა და სიხალისის საგანს.

მაგრამ სწავლის დროს ყველა ბავშვი მაინც ის არ არის, რაც ადრე იყო—თამაშის დროს, რადგან სწავლა რადიკალურად განსხვავდება გასართობი „შრომისაგან", ის შედარებით ერთფეროვანია, მონოტონური, და, მაშასადამე, მოსაწყენიც,—ბავშვისათვის „მძიმე" შრომა. ამ „მძიმე" შრომის დაძლევაში ყველა ერთნაირ ძალას ვერ იჩენს. და აი, პოეტიც შემდეგში უფრო მეტად ამახვილებს ბავშვების ყურადღებას ამ შრომისაკენ. იგი მიმზიდველად ხატავს სწავლას, სიბეჯითეს, უარყოფითად—სიზარმაცეს. ორივე მოვლენისათვის ისეთ დამოუკიდებელ ფერებს ნახულობს, რომ ბავშვზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს, აყვარებს სწავლას, გულმოდგინე სწავლას და უარყოფით დამოკიდებულებას უმუშავებს ზარმაცისა და სიზარმაცისადმი.

ამ შემთხვევაში პოეტი მრავალ საშუალებას ხმარობს. მიმართავს, როგორც მხატვრულ, ისე დიდაქტიკურ შთაგონებას. საბავშვო მწერლობა გვერდს ვერ აუვლის უკანასკნელს, მაგრამ აქ აზრის სინათლეს, მკაფიობას, სიმკვეთრესა და ლაკონიურობასთან ერთად საჭიროა უდიდესი ზომიერება. არც ერთი საბავშვო მწერლის შემოქმედებისათვის არ არის ზომიერება დამახასიათებელი ისე, როგორც შიო მღვიმელის

შემოქმედებისათვის. კარგად იცის რა ბავშვის ბუნება, იგი ლოგიკურ აზრს, დარიგებას, ან ახსნას მიმართავს მაშინ, როცა უკვე მოამზადებს ბავშვის გონებასა და ცნობიერებას ამის ასათვისებლად.

აი, მაგალითად, ლექსში „ადე, ბიჭო ზაქარია“, პოეტი ბავშვსეუბნება:

ადე, ბიჭო ზაქარია,
ადე, ადე, კმარა ძილი!
ერთი, კიდევ გადიკითხე
დღევანდელი გაკვეთილი...
ადე, ბიჭო ზაქარია,
ადე, ადე, კმარა ძილი!
სკოლისაკენ გასრიალდი
მერცხალივით ფრთაგაშლილი!.

ეს ნაწილი ლექსისა, თავისთავად, ბრწყინვალეა. ბავშვი მას შეითვისებს, პოეტს დაუჯერებს, მაგრამ ამ მკაფიო აზრმა, ემოციურად უფრო მეტად რომ იმოქმედოს, ბავშვის შეგნებაში შინაგანი აღძვრა გამოიწვიოს, —ჯერ თვით ბუნებას აღვიძებს, ხატავს შრომით ამეტყველებული ბუნების მიმზიდველსა და ლამაზ სურათს:

ადე, ბიჭო ზაქარია,
წამოფრინდი, აბა ჩქარა;
მზე კაშკაშებს, მზე იცინის,
ცამ ღრუბლები გადიყარა.
გვრიტმა, ჩიტმა–ჩიორამა
რა ხანია ფრთა გაშალა,
ტოროლამ კი ღამეს ძილი
უფრო ადრე დაამწყრალა,
მზის სხივები ოქროსფერად
ხუჭუჭ თმაში გეფინება,
მერცხალიც თავს დაგჭიკჭიკებს,
შენ კი ისევ გეძინება?!.

ამის შემდეგ ბავშვი სწრაფად ფხიზლდება, იღებს ბუნების გამოწვევას და მასთან შეჯიბრებაში ებმება.

„ოჯახის გამხარებლებში“ პოეტმა მიმზიდველი ფერებით დაგვიხატა ბეჯითი დათიკოსა და თამროს სახეები. ბეჯითი ბავშვები სიხარულითა და ჟივილ-ხივილით დაბრუნდნენ სასწავლებლიდან. მათ გაკვეთილები კარგად ჩააბარეს მასწავლებელს და შინ გამალებით მორბოდნენ, რათა ეს სიხარული მშობლებისათვის გაეზიარებინათ. ავადმყოფ დედას გულს ნათელი ეფინება, სამუშაოდან დაბრუნებული მამა კი დაღლას აღარ გრძნობს, ოჯახში მეფდება საერთო ბედნიერება. ამ ბედნიერებას ბუნებაც ეხმაურება:

ამათ სიხარულს თითქოს მზეც
ფანჯრიდან ელიმებოდა
და ბალღებს ხუჭუჭ ქოჩორზე
ოქროსფრად ეფინებოდა.

შიოს ბავშვების ოცნება შრომა და სწავლაა. ილო სწუხს „რად არ მაძლევენ სკოლაში, ხომ სწავლა დამიგვიანდაო“. გიგის უყვარს ცელქობა, თამაში, მაგრამ არც გაკვეთილები ავიწყდება, დროს გონივრულად ანაწილებს და „მაშინაც კი ახსოვს სწავლა, როცა უდარდელად კივის“.

იგი ამბობს:

ერთ საქმეს რომ მივეძალო
და მეორეს ვუშვა ხელი,
ხომ დავრჩები მე ჩემს მშობლებს
უვიცი და უსწავლელი?.

შიო მღვიმელი, როგორც საბავშვო პოეტი, კარგად ფლობს თავისი დროის პედაგოგიური აზროვნების ყველა მხარეს. მან კარგად იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბავშვის სწორ აღზრდაში თვალსაჩინოებას, თამაშის აგებას სალი შრომის პრინციპებზე. თვალსაჩინოებას

პოეტი ოსტატურად იყენებს თავის შემოქმედებაში. თავიდანვე ნორჩი მკითხველის ინსტიქტებს ისეთნაირად წარმართავს, ისეთი თვალსაჩინოებით, მაგალითებითა და ნათელი შედარებებით, რომ დიდაქტიკაც დიდ აღმზრდელობითს და ემოციურ ზეგავლენას ახდენს. როცა მის ლექსებში დედა არიგებს შვილს:

შვილო! რაკი დაეჩვევი
მუდამ გარეთ სიარულსა,
სკოლაში რომ მიგაბარო,
ვერ დაუდებ სწავლას გულსა, —

—ბავშვისათვის სავსებით გასაგები ხდება შიშველი დიდაქტიკური აზრი ამ სტრიქონებისა, რადგან პოეტმა ამისათვის ყველა პირობა თავიდანვე შეამზადა. დიდაქტიკა საბავშვო მწერლობის ორგანული და განუყრელი შემადგენელი ნაწილია. მაგრამ მთავარი ისაა, თუ როგორ და რა ზომით უნდა იქნას იგი გამოყენებული, რათა ზიანი არ მიაყენოს ნაწარმოების მხატვრულ მხარეს. ზომიერების გრძნობა ყველაზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი გრძნობაა საბავშვო ხელოვნებაში. როდესაც ამ თვალსაზრისით მივუდგებით შიო მღვიმელის პოეზიას, დავინახავთ, რომ მისი მომხიბვლელობა, კლასიკური სრულყოფილობა, დიდი მხატვრული ძალა და აღმზრდელობითი მნიშვნელობა სწორედ ზომიერების ამ გრძნობაში გამოიხატება.

საბავშვო მწერლობა — პედაგოგიური მწერლობაა, ამ სიტყვის კეთილშობილური გაგებით. ბევრს ეს ცუდად, დიდაქტიკური აზრების მშრალ, მომაბეზრებელ ქადაგებად ესმის. ყოველი მხატვრული ნაწარმოები გარკვეულ აღმზრდელობითს მიზანს უნდა ისახავდეს, ის პედაგოგიურად სწორად უნდა წარმართავდეს ბავ-

შვის გონებრივ და ფიზიკურ აღზრდა-განვითარებას, მაგრამ იგი არ უნდა იყოს რეზონიორული. პედაგოგიური შემოქმედების აზრი უნდა გამომდინარეობდეს ნაწარმოების შინაგანი არსიდან, სენტენციიდან.

ამასთან, საბავშვო მწერლობის თემატიკა ისეთივე ფართო და მრავალმხრივი უნდა იყოს, როგორი მრავალმხრივიც არის პედაგოგიური აზროვნება. არ შეიძლება საბავშვო მწერლობა შემოიფარგლოს ერთი ასაკით, ან ერთი რომელიმე დიდმნიშვნელოვანი თემით. საბავშვო მწერლობისათვის აქტუალურია ყველა თემა,—დაწყებული წმინდა „გასართობით" და გათავებული იდეურ-მორალური მნიშვნელობის თემებით. ყველა ეს თემა მხატვარმა გარკვეულ პედაგოგიურ მიზნებთან უნდა დააკავშიროს. საბავშვო მწერლობა, საბავშვო ხელოვნება, საერთოდ, არ შეიძლება იყოს განყენებული, აბსტრაქტული. ისეთივე კონკრეტული უნდა იყოს საბავშვო მწერლის შემოქმედება, როგორი კონკრეტულიცაა აღზრდა,—საგანი პედაგოგიკისა.

რა იგულისხმება ამ კონკრეტულში? კონკრეტული ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ, როგორც აღზრდის მიზნების დაკავშირება დროსთან — თანამედროვეობასთან. მკვდარია და ცოცხალ შემოქმედებითს ძალასა და მნიშვნელობას მოკლებული ის ლიტერატურა, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისი დროის აქტუალურ მოთხოვნილებებთან. პირველ რიგში ეს საბავშვო მწერლობაზე ითქმის. საბავშვო მწერლობა ყველაზე მეტად უნდა იყოს თანამედროვე თავისი თემებითა და იდეებით.

ბავშვის სწორი აღზრდა შეუძლებელია აბსტრაქტული, განყენებული საგნებით, თემებით. ყოველი დროის

პროგრესული პედაგოგიური აზროვნება სკოლისა და ლიტერატურისაგან, უპირველესად, იმას მოითხოვდა, რომ თავიანთ უშუალო აღმზრდელობით მიზნად დაესახათ თანამედროვე ადამიანის, მოქალაქის აღზრდა. თანამედროვე ადამიანის აღზრდა შეიძლება თანამედროვე თემებით, ეპოქის აქტუალურ პრობლემებზე მხატვრული პასუხის გაცემით.

შიო მღვიმელს ბრწყინვალედ ესმოდა ეს. მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრება საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორი აქტუალური, ცოცხალ-მოქმედი უნდა იყოს საბავშვო მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობა. შიოს პოეზიაში მთავარი ადგილი უჭირავს თანამედროვე თემებს, თვით ისტორიული და ზღაპრული თემები (ფრინველთა და ცხოველთა ყოფაც კი) შინაგანი სენტენციებით გათანამედროვებულნი არიან, ეხმაურებიან ეპოქის მიზნებსა და აღზრდის ამოცანებს.

ამიტომ ითვლება შიო მღვიმელი საბავშვო პოეზიის ნამდვილ კლასიკოსად და მისი ჭეშმარიტი განვითარების გზის გამკვლევად. მისგან ბევრი რამის სწავლა შეუძლია თანამედროვე საბჭოთა საბავშვო მწერალს.

## III

შიო მღვიმელის მხატვრული შემოქმედების სიღრმე, უპირველესად, მის თემატიკურ მრავალფეროვნებაში მდგომარეობს. როგორც ლაღია და შეუზღუდველი ბავშვის ბუნება, ისევე ლაღია და შეუზღუდველი შიო მღვიმელის პოეზიის თემატიკური სფერო. პოეტი თავის ლექსებში, იმ მორალურ პრობლემებთან ერთად, რომელთაც ჩვენ შევეხეთ, აშუქებს ბუნების ისეთ მოვლენებსაც, რომელთაც წმინდა შემეცნებითი, შესწავლითი

მნიშვნელობა აქვთ. ესეც საბავშვო ლიტერატურის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მაგალითად, ფრინველთა და ცხოველთა სამყაროს ყოველთვის არ იძლევა პოეტი იმ მიზნით, რომ მასთან რაიმე მორალი დააკავშიროს. ხშირად ფრინველს, ან ცხოველს აღწერს თავისი ნამდვილი თვისებებით, გარეგნობით, რათა ბავშვს მისცეს სწორი წარმოდგენა, ცოდნა მის შესახებ. აი ლამაზი და უწყინარი პეპელა:

დაწინწკლული, ჭრელკაბა,
დაფრინავს, დაფარფატებს,
სოფელს არას უშავებს,
არც არაფერს მატებს.
მისი სამყოფი ბინა
მინდორი და ველია,
ჩვენი ცელქი ბალღების
დიდი საყვარელია.

სულ სხვაა ერთი ციცქნა, მაგრამ ავაზაკი ობობა. მას თვითონ ალაპარაკებს პოეტი თავისი მზაკვრული ბუნების შესახებ:

ბაიყუში გვარისა ვარ,
კუთხე-კუთხე ვაბამ ქსელებს,
არ გაუშვებს ჩემი ბადე,
რა მწერსაც კი ჩაიხელებს.
მეც შორიდან ვუთვალთვალებ,
როგორც კარგი ავაზაკი,
უსისხლოდ რო არ გაუშვებ,
აღარ უნდა ლაპარაკი.

მწერებში არავინ შეედრება უანგარო შრომისმოყვარე ფუტკარს.

ღვთის მუშას მეძახიან,
დავფრინავ და დავზუზუნ,
უანგარო მშრომელი
არავისთანა ვტყუი.

სადაც ყვავილებია,
თავს ვევლები ყველასა,
არა ვგევარ პეპელას
წინწკალ-კაბაჭრელასა;
მე ყვავილებს მტვერს ვაცლი,
ვზიდავ სუსტი ფრთებითა,
ყველას ვუმასპინძლდები
თაფლით სავსე სკებითა.

ფრინველებში ბულბული თავისი მოკრაკრაკე ხმით გამოირჩევა:

გულამოსკვნით გალობს მუდამ,
ხმას ზარივით აწკრიალებს,
სიამეს ჰფენს წყალთა ჩქრიალს
და შრიალა ტყეს და ჭალებს.
როცა სტვენით გასტეხს ღამეს
და მოლილი ლულავს თვალებს, —
მაშინაც კი, ცას და მიწას,
ერთის თხოვნით შევალალებს:
„ღმერთო, მიე ჩემს ჩიორებს
უკეთესი ხმა და ყელი,
რომ დაატკბონ ჩემზე უკეთ
ეს ძვირფასი მთა და ველი!“.

რამდენიმე სტრიქონში უაღრესად ტიპიურად არის დახატული ქორი:

თვალები აქვს ცეცხლისა,
შურდულივით მალია,
ამაყსა და თავისუფალს
ეჯავრება გალია.
მუდამ მოუსვენარი —
ტანად ნაცრისფერია,
ჩიტების აბეზარი,
ქათმებისაც მტერია.
მინდვრად თუ ვერას გახდა, —
ჩაუქროლებს სოფელსა,
ვაი, წიწილის ბრალი,
ვაი, ჭუკის მშობელსა!

შიო მღვიმელის პოეზიაში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს მერცხალი. არც ერთ ფრინველზე

არა აქვს დაწერილი პოეტს იმდენი ლექსი, რამდენიც მერცხალზე. ამის მიუხედავად, ყველა ეს ლექსი ერთმანეთისაგან განირჩევა შინაარსითაც და ფორმითაც. ბუნებრივია! მერცხალი სიმბოლოა სიხარულისა, განახლებისა. ის მაუწყებელია გაზაფხულისა! რა ჟამს გალხვება თოვლი და ზამთარი გატყდება, მერცხალი სტოვებს თბილ სამხრეთს და სამშობლოში სიხარულით ბრუნდება. ამ თავის უსაზღვრო სიხარულს მუდმივ ჭიკჭიკსა და ცაში მოუსვენარ სრიალში გამოხატავს.

ინდოეთიდან მოვიდა
ჩვენი პატარა შიკრიკი,
გვახარა: გაზაფხულდაო,
ტკბილად დაიწყო ჭიკჭიკი
კუთხე არ დარჩა სოფლისა,
სუყველგან შეინავარდა;
მერცხალი მოფრენილაო, —
ხმა სიხარულის გავარდა.
მთებში დამდნარა ყინული,
კალთებზე ორთქლი ავარდა,
ახლა ხომ გჯერათ, ბალღებო,
ზამთარს რომ ჯანი გავარდა!“.

მერცხალი ძალიან უყვართ ბავშვებს. ამიტომ შიო მღვიმელი ხშირად ესაუბრება მათ მერცხალზე; ყოველმხრივად აცნობს ბავშვებს მერცხალს და მერცხლის საშუალებით მათში სხვადასხვა განცდებს აღძრავს.

ასეთივეა პოეტის დამოკიდებულება ცხოველებისა და ნადირებისადმი. იგი ჯერ არკვევს მათს სხვადასხვა თვისებას და შემდეგ სხვადასხვა შემთხვევაში შესაფერ სიმბოლოებად წარმოგვიდგენს. გარეულ ცხოველებიდან პოეტს ყველაზე სრულყოფილად დახატული ჰყავს მელია. იგი ბავშვს დაწვრილებით აცნობს მელიას გაიძვერობას, მატყუარობას, ვერაგობას. მელიას სახით

ბავშვის წარმოდგენაში ჰქმნის გაიძვერის სიმბოლურ სახეს, რომელსაც ხშირად მიმართავს პოეტი უარყოფითი თვისებების გამოხატვისათვის.

აქედან შეიძლება გარკვეული დასკვნა გავაკეთოთ: შიო მღვიმელს არა აქვს არც ერთი ლექსი, რომელსაც არა ჰქონდეს კონკრეტული მიზანი, კონკრეტული ამოცანა.

## IV

ეს ნარკვევი სრული არ იქნება, თუ არ შევეხებით ბუნების ადგილს შიო მღვიმელის პოეზიაში. როგორც უკვე ვთქვით, ბუნების, მისი საგნებისა და მოვლენების მეტყველ ხატვაში შიო მღვიმელი ვაჟა-ფშაველას მიმდევარია. მაგრამ ეს გარემოება შიოს არ უკარგავს დამოუკიდებლობას. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიამ არ იცის არც ერთი მწერალი, რომელიც ბუნებისადმი დამოკიდებულების დროს მეტნაკლებად არ იყოს დავალებული ვაჟასაგან,—ვაჟამდე კი არავინ ამაღლებულა. ჩვენ ვერც შიო მღვიმელს დავაყენებთ ვაჟას გვერდით, მაგრამ მისი სახით ვაჟას ჰყავდა თავისი ტრადიციების შეუდარებელი გამგრძელებელი საბავშვო ლიტერატურაში. აგრძელებდა რა ვაჟას, შიო მღვიმელს საკუთარი გაგება ჰქონდა ბუნების გაცოცხლების მნიშვნელობაზე ბავშვთა გონებრივი აღზრდის საქმეში.

შიოს პოეზიაში ბუნება უშუალო მონაწილეობას იღებს ბავშვთა ყოფა-ცხოვრებაში, მათი გრძნობებისა და გონების ფორმირებაში. ბუნება არასოდეს არ არის გულგრილი ბავშვთა ბედისა და უბედობის მიმართ. ბუნების ყოველი საგნისა და მოვლენის გაცოცხლება, რასაც შიო მღვიმელი მიმართავს, მიზნად ისახავს ბავშვთა ცნობიერება ცოცხალ არსებებთან დააკავშიროს,

წარმოდგენა მისცეს ბავშვს ბუნებაზე, როგორც ცოცხალ სამყაროზე, რომელიც ისეთივე სიცოცხლით ცხოვრობს, როგორითაც ადამიანი, ადამიანთა საზოგადოება. ამის შემდეგ პოეტს საშუალება ეძლევა უფრო ფართოდ გააშუქოს ადამიანთა ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ტიპიური მოვლენები ბუნების მოვლენების მაგალითებზე, მათთან ურთიერთობაში.

ამგვარად, შიო მღვიმელის დამოკიდებულება ბუნებისადმი გამომდინარეობს უფრო პრაქტიკული მოსაზრებებიდან, ვიდრე გარკვეული ფილოსოფიური მრწამსიდან.

ზევით საკმაო სიცხადით დავინახეთ, თუ როგორ ორგანულად აკავშირებს პოეტი ბავშვის გონებრივი აღზრდისა და ფსიქოლოგიური ფორმირების პროცესს ბუნების მოვლენებთან, მცენარეებთან, ფრინველებთან, ცხოველებთან; ამის მკვეთრ მაგალითებს ქვევითაც დავინახავთ, როცა განვიხილავთ შიო მღვიმელის პოეზიის პატრიოტულ მოტივებს. მაგრამ აქ, ზევითგამოთქმული მოსაზრების საილუსტრაციოდ, მოვიყვანთ ბუნების მოვლენების, საგნების ცოცხალი, მეტყველი ხატვის რამდენიმე მაგალითს: ვარდი უჩივის თავის ბედს და ქვეყნის უკუღმართობას, უმადურებას და ანგარებითს დამოკიდებულებას. „როდესაც ფერი შემწევდა და კარგი მქონდა სუნიცა,— ამბობს ვარდი,—ყველა მე შემომხაროდა—კაციც და მაიმუნიცა!“ გრძნობა დამთვრალი ბულბული დამმღეროდა, დამფარფატებდა, მელა რა არის, ისიც კი ფარულად მოცანცალებდა, თან ჩემი სუნით თვრებოდა, თან ბულბულს უთვალთვალებდა... რომ არ დაეწვი ალერსით, მზეს თუნდაც ერთის სხივითა,—ღრუბლები მეფარებოდნენ ფურცლებზე ნაზ-

დებითა,—„...ერთი სიტყვით,—„ყველასთვის ტურფა ვიყავი, სანამდის დარი მდარობდაო“,—და დასძენს:

როდესაც ფერი დავკარგე,
გამომელია სუნიცა,
სუყველა ერთად შემომწყრა —
კაცი და მაიმუნიცა!.

ვარდი და ია ეპაექრებიან ერთმანეთს. ვარდი დასცინის ისს—„რას ვაქნევ შენსა სიმშვენეს, ახარებ მხოლოდ ჭიასა“, ბუჩქნარში მიმალულხარ, არც თვითა ტკბები ცხოვრებით და არც სხვას ატკბობ. იამ გულისტკივილითა და ნიშნის მოგებით მიუგო ვარდს, მართალია:

ჩემი და შენი სიმშვენე
შორი-შორს დასადარია;
ყველა შენ გეტრფის, გევლების,
ვისაც უდარის დარია.

მაგრამ მე ტკბილად, დამშვიდებულად, შიშის გარეშე, მყუდროებაში ვატარებ დროს, მაშინ, როცა შენი სიცოცხლე ყოველ წუთის განსაცდელშიაო:

შენ კია მოგჭამს უეცრივ
უკანასკნელი მწირიო,
სიტურფეს ჰკარგავ, დარჩები
მხოლოდ გამხმარი ძირიო.
თანაც მოგგლიჯავს კუკურსა
უწყალოდ შმაგი ქარიო,
დაგიჭკნობს ფურცლებს მზის სხივი,
გაქრები დაუმტკბარიო.

სთქვა რა ეს იამ, მართლაც გრიგალმა უეცრად დაიგრიალა, მოსწყდა ვარდი მკვეხარა, ჰაერში შეატრიალა, ია კი ძირს უვნებლად დარჩა.

ორივე ამ ლექსს გარკვეული მორალიც აქვს. პოეტი, გადმოგვცემს რა ვარდსა და იას, როგორც ცოცხალ არსებათა „შინაგან განცდებს“, პირველ ლექსში საყვე-

დურს გამოსთქვამს ერთი-მეორისადმი ანგარებითი დამოკიდებულების მიმართ, მეორე ლექსში დასცინის ამაყსა და მედიდურს, ამაო მკვეხარას.

მინდვრის ყვავილი საყვედურს ეუბნება ცელქ ყმაწვილს:

„რად მისპობ ლამაზ სიცოცხლეს, თავად ლაღო და ცქრიალა?“, ემუდარება: ნუ მომწყვეტ, აქვე დამტოვე, ვიცელქო დედის ან მამის გულზეო. ამ პატარა ყვავილსაც უხარია და ამაყობს, რომ მრავალ ნათესავთან ერთად ამკობს და ახალისებს ველ-მინდორს:

მინდვრის ყვავილად მოვლენილს,
დებიც ბევრი მყავს, ძმებიცა,
ნიავს რომ ავუმღერდებით,
ქილოც კარგი გვაქვს, ხმებიცა!.

ზვავმა ობოლი ია ადგილს მოსწყვიტა, ღელეში ჩაიტანა და ზედ ძეძვი გადააფარა. სინათლეს მოკლებული ია გულით ევედრება მზეს:

მზეო, მომხედე, მიშველე,
გამათბე შენი სხივითა,
ცა მოჭედილი მაჩვენე
ელვარე ვარსკვლავ-მძივითა.

მზეს სურდა შეესმინა იას ვედრება, დაეტკბო მისთვის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, მაგრამ ამ კეთილ განზრახვასაც ბოროტი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა:

თავ, ხომ იცი, მწადია,
შენი გათბობა, გულითა,
რა ხანი არის ვივსები
მეც შენი სიბრალულითა.
მაგრამ, როდესაც სხივები
შენის გზით გამოკრთებიან,
მაშინვე შავი ღრუბლები
ზედ ნაბდად ეფარებიან.

შენ ძეძვი გფარავს, მე ნისლი,
ზღვიდან ღრუბლებად წვეული,
და ველარ ატანს შენამდის
ჩემი სხივების შვეული.

ფერებით მდიდარია და ლამაზი პოეტის მიერ დახატული ბუნების პეიზაჟი. მაგრამ ამ „უბრალო" სილამაზესთან ერთად პეიზაჟში ზედმიწევნით არის განცდილი და გადმოცემული დროის გრძნობა,—დანახულია ის თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელნი არიან ბუნებისათვის წელიწადის ამა-თუ-იმ პერიოდში. წელიწადის ყველა დროს აქვს თავისი ბუნებრივი ღირსებაც და ნაკლიც. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ყველას თავისი სილამაზე და მიმზიდველობა, ყველას თავისი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ცხოვრებისა და დოვლათისათვის. პოეტი ყველა ამ დამახასიათებელი ნიშნებით იძლევა ბუნების სურათებს და მათს ბუნებრივ სილამაზეს.

ლექსში „მწყემსი" წარმტაცი იდილური განწყობილებაა გადმოცემული ძველი სოფლის მწყემსისა, რომელსაც სულიერი ტკივილებიც აქვს, დარდიც, გაჭირვებაც, მაგრამ ყველაფერ ამას ივიწყებს ბუნებასთან ურთიერთობაში, შრომაში:

როცა კისკისი ლაჟვარდზე
ამოვა, იწყებს ცრიალსა
და ატეხავენ სოფელში
ბაკების კარის ჭრიალსა, —
თვალს ვახელ, ვდგები საჩქაროდ,
ახალუხს ვიცვამ ხელადა,
და საქონელი საძოვრად
მიმიდის მინდორ-ველადა.

ვერც წვიმა მიჭერს, ვერც ქარი,
არც უქონლობა შურისა,
შორს ისმის ხალისიანად
ხმა ჩემი სალამურისა.

ლამაზია მწყემსის შრომა, რადგან ამ შრომაში იგი სცილდება ქვეყნის ამაოებაზე ფიქრს და ადამიანური განცდების მღელვარე ტალღებში ექცევა. ულამაზეს ბუნების წიაღში იშვა და აღიზარდა პოეტი. ამიტომ მისი წარმოსახვითი ფანტაზია, ბუნების პეიზაჟის მშვენიერების აღქმა მდიდარია უშუალო ფერებით. მართალია, ბუნებისადმი პოეტის დამოკიდებულება წინასწარმიზნურია, მაგრამ არასოდეს არ არის გულგრილი, ინდიფერენტული; ბუნება მას არა მხოლოდ აინტერესებს,—უყვარს კიდეც. მისი სიყვარული ბუნებისადმი ისეთივე წრფელია და მართალი, როგორც ბავშვის სიყვარული.

ზამთარი გადის, ბუნება იღვიძებს, განახლებას იწყებს მიდამო, მთა და ველი მწვანითა და ყვავილებით ირთვება:

გაზაფხულდა, გაზაფხულდა!
მთა ამწვანდა მშვენიერად,
და ბარშიაც გადიფურჩქნენ
ყვავილები მრავალფერად.

მეორე ლექსში პოეტი ამბობს:

ვის არ უყვარს, ნეტა ეს დრო,
ვინ არ შეტრფის გაზაფხულსა?
მთის და ბარის სულის ჩამდგმელს,
ყვავილები მრავალფერად.

ბუნების განახლებას თან მოსდევს სულდგმულთა გამოცოცხლება:

ჰა, მერცხალიც გადმოფრინდა,
თავისუფლად ფრთა გაშალა,

ცელქ ნიავმაც ზედ მოჰბერა,
ყველა ფეხზე წამოშალა.
სევდიანი ბულბულის ხმა
მოსდებია არემარეს,
ხან დაჰკვნესის ვარდის ბუჩქებს,
ხან უგალობს სავსე მთვარეს,
ხან ყურს უგდებს მოქანცული,
წყაროს, ლურჯად მომჩქეფარეს.

გაზაფხულს მოჰყვება „დრო სიცოცხლის ჩქეფისა“. ზაფხული ახალი სამკაულით იმოსება, „თვალი და გული ივსება უხვად ნათესი ველითა“,... „მინდორში გამოფენილან ნამგლებითა და ცელითა“.

შემოდგომას არცერთი დრო არ შეედრება ბარაქის სიუხვით. ამ სიუხვეშია მისი მშვენიერება და სილამაზე. მართალია: —

ტყეს გადაეკრა სიყვითლე,
ფერი შეუკრთათ ჭალებსა,
მინდვრები გადაიგოხნენ,
საძილედ ხუჭენ თვალებსა, —

დაცალიერდა სოფელი—აღარც მერცხლები სჩანან, აღარც ჭრელკაბა პეპლები, მინდვრებში გამქრალან ათასფერადი ყვავილები, მთის კალთები შავ ნისლს დაუფარავს,—„ხანა ცრის და ხანა ჟინჟლავს, უგემურობს არემარე“, მაგრამ მოზრდილთა და ბავშვთა გულები სიხარულით აუვსია უხვ მოსავალს—ბაღში ხილი დამწიფებულა, ვენახში „ყურძენი დამკრახულა, გაღეღია სიმინდს ტარო“, რთველი გამართულა, ურმები აჭრიალებულან, ამუშავებულა ყველას ხელი, —

ზეიმობს და მხიარულობს
ყურძნით სავსე საწნახელი,
აღიღინდა ტკბილის ჩქერით
თალარი და ქვევრის ყელი.

მკაფიო რეალისტური ფერებითა და კოლორიტულად ხატავს პოეტი ზამთრის პეიზაჟს. მის მიერ დახატულ სურათში ცოცხლად წარმოგიდგებათ ზამთრის სრული სურათი:

დანაღვლიანდა ქვეყანა,
ჩადრი მოისხა არემა,
მზემ დაგვიძვირა სხივები,
შემოიმალა მთვარემა.
ქარი ჰქრის, თოვლი ზედ მოსდევს,
ყინვა გვისუსხავს ხელებსა,
ხეებთან ერთად ნამქერქვეშ
ჩასძინებიათ ველებსა...

მაგრამ შიო მღვიმელის ბავშვებს არ აშინებთ სუსხიანი ზამთარი. მართალია, ხანგრძლივი ზამთრისაგან მობეზრებული ბავშვი გულისფანცქალით ელის გაზაფხულს, მაგრამ შემოდგომის შემდეგ არანაკლები გულისფანცქალითა და ინტერესით ელის ზამთარს. თუ გაზაფხულს, ზაფხულსა და შემოდგომაზე ბავშვთა სიხარულსა და სიმხიარულეს საზღვარი არა აქვს,—ცივ ზამთარშიაც პოულობენ ისინი სიხარულის საგანს; ბავშვთა ცხოვრებას ის სიამოვნება რომ გამოაკლოთ, რომელსაც ისინი ზამთარში იღებენ, იგი სრული არ იქნება. ამიტომაა, რომ დაზამთრებისას ბავშვები შეწუხებისა და შიშის მაგიერ აღფრთოვანებულები ეგებებიან თეთრად მოქათქათე თოვლს:

თეთრად ქათქათებს მინდორი,
ბიჭო, რას უზი კერასა?
გამოდი, გამომზიგულდი
რა სჯობს ამ თოვლის ცქერასა!..
— მოვდივარ, შენი ჭირიმე,
ციგით და თხილამურებით,
მეც მიყვარს თვალის დატკბობა
ჯანსაღი თოვლის ყურებით!

ნახე როგორი ბიჭი ვარ,
ციგას რომ გავასრიალებ!
ხან ზედ დავისვამ მოყვრულად
ხან თოვლში გავკოტრიალებს!

შიო დაწვრილებით გვაცნობს ბავშვს, ყოველი მხრიდან აგვიწერს მის მოუსვენარ ცხოვრებას; დედამ დილით ბავშვებს ახარა თოვლის მოსვლა,—„ნატრობდით და აგისრულდათ კიდეც გულის საწადელი, თქვენ გეგონათ, რომ სიმწვანეს შეირჩენდა მთა და ველი?! აბა ახლა გადიხედეთ ეზოში და ბაღის წინა, არემარე დათოვლილა და რუებიც მთლად დაყინა!“... ბავშვები მხიარული ყიჟინით გაცვივდნენ გარეთ და ციგაობასა და გუნდაობას შეუდგნენ.

შიო მღვიმელის ბავშვები, როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად, ჯანმრთელები არიან. ისინი გვიზიდავენ თავიანთი ბავშვური ცხოვრების სისრულითა და უშუალობით. მათში მკითხველი ბავშვი თავისთავს, თავის გატაცებას, თავის ინტერესებს ხედავს. როდესაც შიო მღვიმელის ლექსებს კითხულობს, მასში იღვიძებს შინაგნად დაფარული ნორჩი და ჯანსაღი პათოსი, სიძნელეებთან დაპირისპირებაში უმუშავდება ნებისყოფა, წინააღმდეგობათა დაძლევისა და კეთილშობილური სიამაყის გრძნობა, საკუთარი ძალისადმი რწმენა.

წელიწადის დროის სურათებისა და მოვლენების გადმოცემისას პოეტი გვაცნობს ბავშვის ჯანსაღ დამოკიდებულებას აღნიშნული მოვლენებისადმი. ამ შემთხვევაში იგი მიუთითებს და ზრდის მკითხველში არა მხოლოდ წმინდა მორალურ თვისებებს, არამედ, ისეთ ჩვევებსაც, რომელნიც შემდეგში მტკიცე და შეუპოვარი ნებისყოფის გამომუშავების საფუძველნი ხდებიან.

„თავისთავადი“ პოეზიაც პოეტის ხელში უდიდეს აღმზრდელობითს ფაქტორად იქცევა. პოეტი, ერთის მხრივ, აცნობს ბავშვებს სამშობლო ქვეყნის ბუნებრივ სილამაზეს, წელიწადის ამა-თუ-იმ დროის მიმზიდველ მხარეებს, რათა ფაქტიური მოვლენების ცოდნით გაამდიდროს მათი ცნობიერება; მეორეს მხრივ, უჩვენებს სიძნელეებსაც, რათა მათ ცხოვრება იოლ და გასართობ რამედ არ წარმოიდგინონ. ამ სიძნელეებთან დაპირისპირებაში პოეტს გამარჯვებული გამოჰყავს ბავშვი. ეს გარემოება აქეზებს და აქტიურს ხდის ბავშვს.

აქ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ საკმარისია განვიხილოთ მხოლოდ ერთი ლექსი—„ყინვა და გულადი“,—რომ ზემოთნათქვამი ნათელი გახდეს.

პოეტი ხატავს სუსხიან ზამთარს. ზამთრის ყინვა სასტიკია და დაუნდობელი, მაგრამ ვერა სტეხს ბავშვის მტკიცე ნებისყოფას. პირიქით, ბავშვი შეგნებულად უპირდაპირდება ყინვას და სძლევს მას:

თოვლი მოდის, ბარდნის თეთრად,
და ზუზუნებს ქარი მწარედ,
არემარე მოწყენილი
ცას შეჰყურებს მგლოვიარედ.
ფანჯრები სულ შეუჭირხლავს,
ცივა, ყინავს, სუსხავს ძალზე,
ვინც კი გარეთ გამობედავს, —
ცრემლი მოსდის ყველას თვალზე.
გოგია კი ამბობს: „მე თავს
არ მოვუდრეკ ყინვასაო,
არ მოვყვები ლაჩარივით
წუხილსა და გმინვასაო.
რას დამაკლებს ზამთრის სუსხი,
თუგინდ ქარის გრიალიო,
არ უნახავს ჯერ მათ ჩემი
კოხტად ცვგის სრიალიო!

ჰე, ბიჭებო, მოდით, მომყევით
ყველა თქვენის ციგითაო,
მაღლობიდან დაბლობისკენ
ვისრიალოთ რიგითაო!

ბავშვის ნებისყოფა ვარჯიშში მუშავდება, ვარჯიშის მთავარი სახეა თამაში. თამაშის საშუალებით ხდება ბავშვის ქცევის, ჩვეულების გამომუშავება; ჩვეულება კი არის საფუძველი ნებისყოფის აღზრდისა. მაგრამ ყოველი ჩვეულება არ უწყობს ხელს ჯანსაღი ნებისყოფის აღზრდას. აღმზრდელობითი თვალსაზრისით მიუღებელია ისეთი ჩვეულება, რომელიც ნებისყოფას წარმართავს. ასეთ შემთხვევაში ადამიანი ხდება უნებისყოფო. ჩვეულება იქცევა მბრძანებელ, ნებისყოფის განმსაზღვრელ ფაქტორად. ბავშვი ბრმად მიჰყავს ერთხელ გამომუშავებულ რეფლექსებს და უძლური ხდება მის გარშემო წამოჭრილი სიძნელის გადალახვის საქმეში. პოეტმა კარგად იცის ეს. ამ შემთხვევაშიც არ ღალატობს პედაგოგიური ინტუიცია და მისი ცოცხალი და ინიციატივიანი ბავშვები მოქმედებენ ნებისყოფით, — ნებისყოფა წარმართავს მათს ჩვეულებას, ქცევას.

ციგაობა ჩვეულებაა. როცა ზამთარი ახლოვდება, ბავშვი ემზადება თავისი ამ ერთერთი ტრადიციული თამაშისათვის. მაგრამ ყველა ბავშვს როდი შეუძლია ციგაობა სუსხიან ყინვაში, ისეთ ამინდში, როცა ყინვისაგან „ცრემლი მოსდის ყველას თვალზე“. აქ საჭიროა ნებისყოფა აქტიურ როლში გამოვიდეს, წარმართოს ბავშვის ჩვეულება. ასეც ხდება. შიო მღვიმელის ბავშვი ნებისყოფით მოქმედებს და არა ჩვეულებით. მის ჩვეულებას წარმართავს ნებისყოფა:

გოგია კი ამბობს: „მე თავს
არ მოვუდრეკ ყინვასაო,
არ მოვყვები ლაჩარივით
წუხილსა და გმინვასო.

გოგია ემუქრება ყინვას და ამბობს:

რას დამაკლებს ზამთრის სუსხი
თუ გინდ ქარის გრიალით,
არ უნახავთ ჯერ მათ ჩემი
კოხტად ციგის სრიალით!

ბავშვში თავიდანვე აღზრდილი ნებისყოფა უდიდეს მოქალაქეობრივ ფაქტორად იქცევა. ასეთად აღზრდილ ბავშვებს შეუძლიათ გააკეთონ ის, რაც სახალისო არაა, მაგრამ სასარგებლოა ადამიანისათვის, სასარგებლოა საზოგადოებრივად.

ამგვარად, შიო მღვიმელის პოეზია ეხმარებოდა სულიერად ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდას, აღვიძებდა ბავშვში ბუნებრივ ძალებს და ხელს უწყობდა მათს სწორ განვითარებას. შიო მღვიმელის პოეზია სკოლისგარეშე სკოლა იყო; ეს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა მას დღესაც არ დაუკარგავს.

## V

შიო მღვიმელის პოეზიის სრული შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა შევეხოთ პოეტის ჰუმორის გრძნობასაც. ჰუმორი საბავშვო ლიტერატურის ორგანიული კომპონენტია. იგი არსებობს დამოუკიდებლადაც, როგორც ცალკე ჟანრი, და ნიუანსების სახითაც, როცა შინაგანად მჟღავნდება ამა-თუ-იმ ნაწარმოებში, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, — მასში ჩაქსოვილი პარალელური მხატვრული იდეა.

შიო მღვიმელის პოეზიაში ჭარბად გვხვდება ჰუმორის გრძნობა. ხშირად ეს გრძნობა ირონიის სახეს იღებს

და მძაფრ სატირულ ფორმაში გადადის. პოეტის ამ ჟანრის ნაწარმოებთათვის უმთავრესად დამახასიათებელია ქართული იგავებისა და ზღაპრების გავლენა. ცალკეულ **შემთხვევაში კი მათში დიდი რუსი** იგავთმწერლის—კრილოვის გავლენაც იგრძნობა. შიო მღვიმელის „ყვავი“ დაწერილია კრილოვის „ვირი და ბულბულის“ მიხედვით, მაგრამ პირველში თემა თითქოს უფრო გამძაფრებულია. კრილოვის ვირმა ბულბულს სტვენა-გალობა დაუწუნა და ურჩია მამლისაგანაც ესწავლა, — გადაეღო მისგან ახალი ჰანგები და გაემდიდრებინა სიმღერა. შიო მღვიმელის იგავში ყვავი დასცინის ბულბულს:

ყვანჩალა შეხვდა ტყის შაშვსა
და ასე უთხრა: „დობილო,
მინდა, რომ გითხრა გულახდით
და კიდეც დაგემძმობილო.
განა კაცს სამართალი აქვს,
ან გემო იმის სმენასა?
ნეტა რას ხედავს ბულბულში?
რომ ისე უქებს სტვენასა!
სხვა რომ არ იყოს—მოხუცდა,
ამბობენ: ვეღარც გალობსო,
კილოც გაუცვდა საბრალოს
და უბრალოდა წვალობსო“.

თუ კრილოვის იგავ-არაკში ვირი ბულბულს ურჩევს მამლისგან ახალი ჰანგები შეითვისოს და სიმღერა გაიმდიდროს, შიოს იგავში ყვავი თავს იქებს და თავის ხმას ბულბულის ხმაზე მაღლა აყენებს. იგი ცბიერი გაკვირვებით ეუბნება შაშვს:

მხოლოდ ეს მიკვირს—ჩემს კილოს
აქ, ჩვენში, რად არ ხმარობენ,
როდესაც სხვაგან ფასი აქვს
და კიდევაცა გალობენ.

თამამად ვიტყვი—ჰანგებსაც
ვერავინ დამიწუნებსო,
თორემა ჰკითხეთ ბუ-ჭოტებს,
ტურებს და მაჯლაჯუნებსო.

შაშვი ამხელს ყვავს,—თავს ნუ იწუხებ ქებით, უმეცრება ნაძალადევად გიგდებს ყურს და ისიც კარგად იცი, თუ რატომ გარბიან შენი ხმის გაგონებაზე—„შენგან შორს ტყე და ველადო". მართალია ჩვენს დროში ავ-კარგის გაგება ძნელია, მაგრამ ყველა ხომ „კრილოვის ვირი" არაა, რომ სათანადოდ ვერ შეგაფასოსო. აქ მკაცრად არის მხილებული გაბატონებული საზოგადოებრივი ზედაფენის სიბრიყვე, მისი განდიდების მანიით გამოწვეული მედიდურებისა და თავმოწონების შინაგანი სიცარიელე.

„შაშვი" ძლიერი პოლიტიკური სატირაა. ამ იგავლექსში გამომჟღავნებულია და გაკიცხული მეფის დროის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი რეჟიმი. შაშვი (რომელშიც პოეტი ხალხს გულისხმობს) სჩივის:

ხომ ხედავთ, ველარა ვგალობ,
ან კი რა მეგალობება!
საცა არ გინდა, ქორს ვხედავ,
ყველგან წინ გადმელობება.
გზას ალარსაით არ მაძლევს
გავფრინდე, გავინავარდო,
შევამკო ტკბილის გალობით
სათიბი და სავარდო.

ეს ქორი თვითმპყრობელობაა, — განსახიერებული მის ერთგულ მოხელეებში; თვითმპყრობელობა ბოჭავს ხალხს, თვალყურს ადევნებს მას, „რათა უპოვოს მიზეზი, გულღვარძლიანმა ძალადა, და რამე დასდოს ბრალადა".

მარტო ეს არაა, რაც შაშვს აწუხებს. თვითმპყრობელობის გარდა მას მრავალი სხვა მტერიცა ჰყავს ბატონებისა და ჩარჩ-ვაჭრების სახით, რომლებიც სძარცვავენ და აჩანაგებენ მის ენერგიას, დოვლათს:

გარდა ამისა, იცით თქვენ,
ჩემი ჭირი და ვარამი?
თუ რამ მაქვს, ყველა გამხდარა
ჩემთვის შხამი და არამი.
ყველა ზედ წამომესია:
ბუ, ჭოტი, ყვავი ყვანჩალა,
სუყველა სოფლის საპყარი —
ყრუ, ბრმა, კოჭლი და ჩანჩალა.
მიაქვთ და მიაქვთ ხელაზმით,
სარჩოს მთლად ეზიდებიან,
მაინც ვერ ძღება მათ გული,
კვლავ უმადური რჩებიან.

გულგატეხილი ხალხი მწარედ იგონებს თავის წარსულს: „ნუთუ მან ხმალი ქარქაშში ამისთვის ჩამაგებინა?!“ მაგრამ მას მაინც იმედი არ დაუკარგავს და ზვიადად მიმართავს:

ქორო, ა, ქორო, თვალჭრელო,
აუტანიხარ წერასა,
ერთხელ შენც ჩაუვარდები
მიმინოსა და ძერასა!
მაგ შენი საპყარ-კუტებით
გულს სისხლი დაგედინება,
ახლა თუ ჩემზე ხარხარებ,
მაშინ მე გამეცინება?

ეს ალეგორიულ-იგავური ლექსი, როგორც დავინახეთ, დიდ სოციალურ თემას ეხება, მაგრამ დაწერილია მსუბუქად და ადვილგასაგებად, ცოცხალი და მკვეთრი კონსტრასტებით, ისევე, როგორც ეს ქართული ფოლკლორული ჰუმორისათვის არის დამახასიათებელი. ში-

ნაგანი სატირული სიმწვავის მიუხედავად მასში შენარჩუნებულია გარეგანი ფორმის სერიოზულობა.

სხვანაირ სახეს იღებს შიო მღვიმელის ჰუმორი ისეთ საბავშვო ნაწარმოებებში, რომლებიც ბავშვებსა და მათს ყოფა-ცხოვრებას ეხება. ისინი მსუბუქ ემოციებს ემყარებიან და ჯანსაღ სიცილს იწვევენ. პატარა ნაზია და წკიპა ერთმანეთს „ცუდ“ საქციელში სდებენ ბრალს:

ჰეი, ბიჭო, ბიჭო, წკიპა!
გახსოვს, ბებომ რომ გაგწკიპა?
ვაშლის ქურდი დედის კალთას
ამოეკარ, როგორც ტკიპა.

წკიპა სამაგიერო ნიშნს უგებს—„თუ აგრეა, შენ კი ჩემზე ცოტა რამე მოგიპარავსო?!“—და ასე გრძელდება ცოცხალი და დაძაბული დიალოგი, რომელიც თანდათან ისე მწვავდება, რომ ორი პატარა მოჩხუბარი ერთმანეთს შეებმებიან. აქ მათ ისევ ბებო გამოუჩნდა გამშველებლად.

აიწია კაბის კალთა,
ხელი ჯიბეს დაისწორა,
ამოიღო წყვილი ვაშლი
და ცალცალკე გაუგორა.

ეს ლექსი ცოცხლად იკითხება და მხიარულ განწყობილებას ჰქმნის ბავშვებში. თანაც ამახვილებს მათს ყურადღებას ბავშვთა ტიპიური საქციელის ზოგიერთ მხარეებზე.

საინტერესოა შიო მღვიმელის „მსუნაგი“. ამ ლექსში უფრო მკაფიოდ არის გატარებული მამხილებელი იდეა, მაგრამ ჰუმორის გრძნობა ისეთი ზომიერებითაა დაცული და გამოყენებული, რომ ბავშვს არ ამცირებს. დედა მეზობელთან გადავიდა ავადმყოფის სანახავად და პა-

ტარა კესო თავის უმცროს ძამიკოსთან დასტოვა მოსავლელად, თანაც ჩურჩხელა და პანტის ჩირი დაუტოვა — თუ იტიროს ამით გაართეო. კესოს დედის დანაბარები დაავიწყდა, სანამ ბავშვს ეძინა, „კესოს ხილი დაელია“, ნელ-ნელა შეჭამა. როცა გამოეღვიძა ბავშვს და ტირილი მორთო, კესოს ხილი აღარა ჰქონდა მის გასაჩუმებლად. მსუნაგი კესოს ეს საქციელი ისეა დახატული პოეტის მიერ, რომ, ცხადია, არცერთ ბავშვს ის არ მოეწონება. სიმსუნაგე აქ პოეტს განზოგადოებული აქვს, როგორც ყველა ბავშვის „სულის ნაწილი“. მან იცის, რომ ასე მოიქცეოდა თითქმის ყველა და მათ შორის მისი მკითხველი ბავშვიც. ამიტომ კესოს არ ამცირებს, მხოლოდ კიცხავს მის საქციელს თავისთავად და ამით ყველა ბავშვს საკუთარ სულში ახედებს. ამავე ხასიათისაა „დიდედა და ვანო“. დიდედამ ხილით სავსე კალათა მაღლა თახჩაში შესდგა, ბავშვებს გადაუმალა, თან ფიქრობდა, კიდეც რომ მიაგნონ, ვერ შესწვდებიანო. იგი ვერ ხედავდა, რომ ვანო უთვალთვალებდა. როცა დიდედა სახლიდან გარეთ გავიდა, ვანომ სკამი სკამზე შესდგა და თახჩაზე აცოცდა. ამ დროს დიდედა მოულოდნელად უკან დაბრუნდა და მსუნაგ ვანოს „ქურდობაზე“ შეუსწრო. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ვანომ, რაკი ველარაფერი მოიფიქრა, უშნოდ იცრუა:

დიდიდედას მზეს ვფიცავ,
კალათა ვარდებოდა,
სულ წინ-წინ მოტოკავდა,
რაღაცა აწვებოდა,
თუ სკამი არ მიმედგა,
მაშ რა ეშველებოდა?.

ამ ლექსის წაკითხვისას ბავშვებს გულწრფელად გაეცინებათ და მთელი თავიანთი საქციელი თვალწინ ცოცხლად წარმოუდგებათ. ხშირად სავსებით უწყინარია პოეტის ჰუმორი, იგი მიზნად ისახავს მხოლოდ იმას, რომ სიცილი გამოიწვიოს და მხიარული განწყობილება შექმნას მკითხველ ბავშვებში. აი, მაგალითად,—ტახტის ბოლოს ჩამომჯდარ პატარა ნინოს ჯამით რძე ედგა. ის იყო ჭამა უნდა დაეწყო, რომ ქათმები შემოეხვივნენ, ნინო ქათმებს გამოეხმაურა:

რას მიცქერით, ქოჩორებო,
რა მუხლებზე მელალებით?!
ხომა ხედავთ არას გაძლევთ,
აღარც ახლა გამეცლებით?!
შეხეთ, ერთი, ამ ჯიუტებს!
არ მაძლევენ მოსვენებას,
ტყვილად ცდილობთ, მე ჩემ ჯამში
თქვენ არ მოგცემთ ჭამის ნებას.

ამ საუბარში გართულ ნინოს რძე შეუმჩნევლად ელვრებოდა ჯამიდან. ამით ციცუნიამ ისარგებლა, გამოძლა რძით და ნინოს შეუმჩნევლად კარისაკენ გაიპარა. ნინოს ხელში ცარიელი ჯამი შერჩა!

ასე მრავალფეროვანია შიო მღვიმელის ჰუმორი. იგი უწყინარია, შინაგანი სიცოცხლით ალსავსე და მხიარული, როცა ბავშვებსა და მათს ყოფა-ცხოვრებას ეხება, მაგრამ მკაცრი მამხილებელია, როცა საზოგადოებრივი ყოფის სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს ეხება.

ჰუმორულ ლექსებში შიო მღვიმელი უხვად იყენებს ხალხურ ფორმას. ამასთან, ამ ლექსებშიც პოეტური ენა სადაა და ორიგინალური გამოთქმებით მდიდარი, ისევე—როგორც მთელი მისი პოეზია.

## VI

თუ შიო მღვიმელის პოეზია სკოლისაგარეშე სკოლა იყო, რომლის ძირითად დანიშნულებასაც ბავშვთა ჯანსაღი მოქალაქეობრივი აღზრდა შეადგენდა, მისი მთავარი თემა, ბუნებრივად, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მაშინდელი, თვითმპყრობელობის შავბნელი დროის მღელვარე საზოგადოებრივ პრობლემებთან.

ეს ასეც იყო.

რა კუთხითაც არ უნდა მივუდგეთ და რა თვალსაზრისითაც არ უნდა განვიხილოთ პოეტის შემოქმედება, დავინახავთ, რომ მისი მთავარი თემაა ეროვნულად და პოლიტიკურად დაჩაგრული სამშობლო ხალხი, მატერიალურად გაჭირვებული და უფლებრივად დამცირებული მშრომელი ადამიანი.

პატრიოტიზმი შიო მღვიმელის პოეზიის იდეათა იდეაა. გასული საუკუნის სამოციანელთა შეხედულებებზე აღზრდილი პოეტი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მსოფლმხედველობის ბოლომდე ერთგული დარჩა. ზევით აღვნიშნეთ, რომ პოეტის ეპოქის აღზრდის თეორიას, რომლის გავლენაც შიომ განიცადა, საფუძვლად ეროვნული თავისუფლების იდეა ედო. იაკობ გოგებაშვილის ბავშვის „ჰარმონიული სულის აღზრდის“ მოძღვრებაც იმავე მიზანს ისახავდა, რასაც აკაკისა და ილიას პატრიოტული პოეზია. ამიტომ შიო მღვიმელმა ბავშვის პატრიოტული აღზრდა თავისი შემოქმედების ქვაკუთხედად აქცია. პოეტის მჩქეფარე ჰუმანიზმი და ბოროტებისადმი შეურიგებლობა, რომლებიც მზის სხივებივით არიან ჩაქსოვილი და წითელ ზოლად გასდევენ მის საბავშვო ლექსებს, ეხმაურებიან სამშობლოს თავისუფლების იდეას.

პოეტი ბავშვებში ნერგავს ლაღი და თავისუფალი ცხოვრებისაკენ მისწრაფებას და ამით მტკიცე ნიადაგს ამზადებს მომავალი მხნე და გულადი ადამიანის ხასიათის გამომუშავებისათვის.

ბავშვის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა უაღრესად ფაქიზი საქმეა. მშრალი დიდაქტიკა, უბრალო პოეტური აგიტკა ბავშვების ცნობიერებამდე ვერ მიდის. ის ხშირად საწინააღმდეგო შედეგს იღებს, რადგან ბავშვი იძულებს ისეთ ლექსებს, რომელიც მისთვის უინტერესოა. შიომ შესანიშნავად იცოდა ეს. მან იცოდა, რომ დიდ იდეებზე ბავშვისათვის მარტივად და მისთვის საინტერესო თემებთან დაკავშირებით უნდა ელაპარაკნა. მცირეწლოვანი ბავშვისათვის ადამიანთა ცხოვრება და ურთიერთობა ისე მახლობელი და წარმტაცი არ არის, როგორც ბუნების მოვლენები, ფრინველთა, ცხოველთა და მწერების ცხოვრება. შიოც აქედან იწყებს ლაღი, თავისუფალი და სამართლიანი ცხოვრების სიყვარულის ქადაგებას. პოეტი აყვარებს ბავშვებს მშობლიურ მხარეს, მის ლამაზ ბუნებას და ამით თანდათან მიჰყავს და ამაღლებს მათ სამშობლოს სიყვარულის შეგნებამდე.

ბავშვამდე უნდა დახვიდე, რომ აამაღლო იგი შენი შეგნების დონემდე, რომ გასაგები გახადო მისთვის ის, რის თქმაც გინდა,—ამბობდა ხშირად პოეტი და მისი პოეზია ამ დებულების ბრწყინვალე გამართლება იყო.

ბავშვში სამშობლოს სიყვარულის შეგრძნობა იწყება თავისი სოფლისა და მისი მიდამოების სიყვარულით. მისთვის ძვირფასია და საყვარელი ჯერ თავისი სოფელი, მისი გარემო: ლამაზი ბაღები, მდინარეები, მინდვრები, მთები და ტყეები, შემდეგ კი მთლიანად სამშობლო. ბავშვი, რომელსაც აქვს თავისი კუთხის სილამაზისა და

„უპირატესობის“ შეგრძნობა, ადვილად შეიცნობს შემდეგში სამშობლოს სიყვარულის ძალას.

მწყემსმა შეიპყრო მძინარე ბაჭია და სოფელში ჩამოიყვანა. ბავშვები გარს შემოეხვივნენ და სიხარულის ყრიამული ასტეხეს, მიუალერსეს, გააძღეს. ბავშვები ბაჭიას თავს ევლებოდნენ, მწვანე ბალახს უზიდავდნენ, რძეს ასმევდნენ, ერთი სიტყვით, არაფერს ზოგავდნენ მისთვის, ბაჭია კი, მაინც არ ღაღობდა, მოწყენილი იყო... ბავშვები ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა სევდა აწუხებდა პატარა კურდღელს. ისინი ვერ მიხვდნენ, რომ ბაჭიას ჭამა და ალერსი კი არ უნდოდა, არამედ „თავისუფალი ცხოვრება, თავისუფალი ნავარდი“.

გამიშვი, შენი ჭირიმე,
გამიშვი, ჩემთვის წავიდე,
ხან ყანას პირებს მოვედო,
ხან გორაკებზე ავიდე.

შესჩივლა ბაჭიამ ყმაწვილს, რომელსაც მაგრად ჩაეკრა ის გულში. ყმაწვილი ახლა მიხვდა, თუ რა აწუხებდა და რატომ იყო მოწყენილი ბაჭია. მისთვის მახლობელი გრძნობა იყო მინდვრად სილაღე და თავისუფალი ნავარდი. ბაჭიას მდგომარეობა გულისტკივილით განიცადა და:

ცრემლმორეულმა ყმაწვილმა
ხელი აუსვა, დაუსვა,
ტკბილად დაჰკოცნა ბაჭია
და ისევ მინდვრად გაუშვა.

განა ამ ბავშვისათვის შემდეგ ძნელი გასაგები იქნებოდა, თუ რას ნიშნავდა:

თავისუფალი ცხოვრება
თავისუფალი ნავარდი!

ბავშვისათვის ადვილი გასაგებია ის სევდაც, რომელიც მერცხალს აწუხებს, როცა ის მშობლიურ სოფელს სცილდება და ზამთრობით თბილ ქვეყანაში მიდის.

ჩემი წასვლის ჟამი დადგა,
სევდიანი და გულმწარი,
შორს მისტუმრებს, ყმაწვილებო,
უნებურად მე ზამთარი.

ეს არის ის პირველადი სევდა, რომელიც ბავშვსაც განუცდია დროებით თავის სოფლიდან სხვაგან წასვლით, ან დედის დროებით დატოვებით და სხვ. ამ სევდის განცდის შემდეგ იგი ადვილად ითვისებს და შეიცნობს მშობლიურ კუთხეში დაბრუნებით გამოწვეულ სიხარულს:

და როდესაც გაზაფხულის
ელვასავით დაჰკრავს ზარი, —
ვერც ზღვა გვიჭერს, ვერც ხმელეთი,
ისე მოვფრენთ, როგორც ქარი.

ან კიდევ:

მოვფრინდებით სამშობლოში
კვლავ გალობა-ჭიკჭიკით,
დავტკბებით და გავიხარებ
თქვენის ხილვა-ტიკტიკით.

მერცხლები და შოშიები აღუძრავენ ბავშვს ინტერესს სამშობლოსადმი. მათგან გაიგებს პირველად, რომ არსებობს საკუთარი ქვეყანა, საკუთარი მთაბარი და „სხვა“ ქვეყანა, „სხვა“ მთაბარი, რომელიც მის არსებასთან ისე ორგანულად არ არის დაკავშირებული, როგორც საკუთარი მთაბარი.

რად მოფრენილხარ, შოშიავ
შენ ესე ადრიანადა?.

ეკითხება გაზაფხულის მახარობელს მისინაადრევად მოფრენით გაოცებული ბავშვი.

შოშია მიუგებს:

რა ვქნა, ვერ ვძლებდი, სულ მუდამ
ვიყავი დარდიანადა,
გული და სული, სურვილი
სულ აქეთ მეზიდებოდნენ,
სამივე ერთად ტოკავდნენ,
ქერქში აღარა დგებოდნენ.
ვიცოდი ზამთრის ნაწყვეტი
აქ კიდევ დამიხვდებოდა,
შემაწუხებდა შიმშილი
და კიდეც შემცივდებოდა;
მაგრამ მივენდე იღბალსა,
არ შევუშინდი ზამთარსა
და მოვატანე კიდევაც
ჩემი სამშობლოს მთა-ბარსა.

ასე თანდათანობით აყვარებს პოეტი თავის ნორჩ მკითხველს მშობლიურ ფრინველებს, მცენარეებს, ცხოველებს, მთა-ველს, ბუნების პეიზაჟს და შემდეგ გადაჰყავს იგი სამშობლოს შეცნობაზე, მისი სიყვარულის განცდაზე. შიოს პოეზიაზე აღზრდილ ბავშვს უყვარს სამშობლო, მაგრამ უყვარს ნაზი და სუფთა სიყვარულით, რადგან თავისი სამშობლოს სიყვარულით იგი ჩრდილს არ აყენებს სხვის სამშობლოს. მისი პატრიოტიზმი საღია და სავსებით მისაღები დღესაც, სოციალისტურ ეპოქაში, როცა საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული სიამაყე შთაგონებულია ლენინურ-სტალინური მეგობრობის დიადი იდეით.

დღესაც შთამაგონებლად ჟღერს პოეტის სიტყვები:

ვით მე არ ვცვლი ვარდს ეკალში
და ვინატრი მისა ლხენას,
ნურც შენ გასცვლი ნურაფერში
სამშობლოს და დედა-ენას.

შეიძლება ამ სიტყვების მთელი ძალა და მნიშვნელობა დღევანდელი ბავშვისათვის არ იყოს სავსებით გასაგები. თავისუფალ სამშობლოს შვილს, ბედნიერ საბჭო-

თა ბავშვს, რომელიც მშობლიურ ენაზე იღებს სწავლა-განათლებას, შეუძლია გაიგოს ამ სიტყვების პროგრესული და რევოლუციური მნიშვნელობა, მაშინ, როცა იგი გაეცნობა საქართველოს შავბნელ წარსულს. შიო მღვიმელი ამ სტრიქონებს სწერდა იმ დროს, როცა საქართველო და ქართველი ხალხი მეფის თვითმპყრობელობის მძიმე უღელქვეშ გმინავდნენ და ეროვნულსა და პოლიტიკურ ჩაგვრას განიცდიდნენ. ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველოში ქართული ენა დევნილი ენა იყო. ქართველ ბავშვს, რომელმაც ქართულის მეტი სხვა ენა არ იცოდა, არ შეეძლო მშობლიურ ენაზე ესწავლნა, ელაპარაკნა და თავისუფლად გამოეყენებინა ის პრაქტიკულ მუშაობაში. მთელი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა არამშობლიურ ენაზე სწარმოებდა. მეფის მთავრობა ცდილობდა გადაეგვარებინა პატარა ერები, გაერუსებინა ისინი. საქართველოსაც ემუქრებოდა ეს საშიშროება. დედა ენის დაცვა—ეს სამშობლოს დაცვა იყო.

ქართული ენის სიწმინდეს იცავდნენ პატრიოტული ქართული ოჯახები, პატრიოტი ქართველი მოღვაწეები, მწერლები. დედაენის სიწმინდის დაცვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბავშვთა, მოსწავლეთა შორის. და აი, დიდ ქართველ მოღვაწეებთან და პედაგოგებთან ერთად შიო მღვიმელმაც მთელი შესაძლებლობა და ენერგია ამ დიდ ეროვნულ საქმეს მოახმარა. იგი ამ საქმეს ემსახურებოდა არა მხოლოდ თავისი პოეზიის ფორმის ღრმა ხალხურობითა და ნაციონალურობით, არამედ ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეების გადაგებითაც. დედაენის დაცვა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთი მთავარი

შემადგენელი ნაწილი იყო. ამიტომ პოეტი მთელი ხმით მოუწოდებდა ბავშვებს, გულითადად ევედრებოდა მათ: „ნურაფერში ნუ გასცვლით სამშობლოს და დედაენასო“.

შიო მღვიმელი, თანდათანობით გადადის რა „პატარა“ თემებიდან „დიდ“ თემებზე, თავისუფლად ელაპარაკება გათვითცნობიერებულ, ინტელექტუალურად უკვე საკმაოდ მომწიფებულ ბავშვებს პოლიტიკურ პრობლემებზე. მისი საახალწლო ლექსები უმთავრესად პოლიტიკური და სოციალური თავისუფლების იდეებით არიან გამსჭვალულნი, ახალ წელს პოეტი იმედით ხვდება. ის, რაც ძველმა წელმა გააკეთა, ახალ წელს უსახავს მიზნად. ახალი წელი არ უნდა ჰგავდეს ძველ წელს, მან უნდა მოსპოს ჩაგვრა, ბოროტება. ასე მიმართავს შიო მღვიმელი ძველ წელს:

წადი, ძველო წელიწადო,
ჯანდაბას და ცხრა მთას იქით!
არ გაღირსებთ შესანდობარს
არც რქითა და არცა ჭიქით!
თან წაიღე ჩვენი ჭირი,
ჩვენი დარდი და ნაღველი,
მოვიდეს გზა გაბრწყინებით
და იმედით ნორჩი წელი!.

პოეტი მოელის უკეთეს დროს და უკეთეს ყოფას. მაგრამ, თუ ამ ახალმა წელმაც გაუცრუა იმედები, თუ ისიც ძველი წელივით „თვალვიწრო და გულმხვრალი“ აღმოჩნდა, მასაც ძველი წლის გზით გაისტუმრებს — „ჯანდაბას და ცხრა მთას იქით ეს ახალიც, როგორც ძველი!“.

მეორე ლექსში („ახალ წელს“) შიო მღვიმელი უფრო აშკარად და მკაფიოდ გამოხატავს საბრძოლო განწყობილებას. ეს ლექსი უაღრესად ოპტიმისტურიცაა. პოე-

ტი ძველი წლის სახით მიმართავს გაბატონებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეჟიმს და დასძენს, რომ ჩვენ, ხალხი, „სულით ისევ ძლიერი ვართ, არც გული გვაქვს დახეული“, რომ „სანამ ცოცხლები ვართ შეგვიძლია მედგრად ბრძოლა“, რომ მტრის კალთას არ გადავიფარებთ, რაც გინდ გასაჭირი გვადგესო:

ასე იყო წარსულშიაც,
აწმყოშიაც ასე არი,
მტერს პირდაპირ ეგებება,
სიმართლისთვის მეომარი...

ახალმა წელმა უნდა გასწმინდოს ყველაფერი, „რასაც უდის მყრალი სუნი, ვინც გამხდარა შინ და გარეთ ორგული და მაიმუნი, ვინც სხვისი ხელით გლეჯავს ეკალს, ვინც სხვისი ხელით ისვრის ნარებს და არაფრით აღარ შველის მათ წყლულსა და მათ იარებს“. მაგრამ, თუ ამ ახალმა წელმაც არ მოუტანა სიკეთე და ბედნიერება ხალხს, თუ არავითარი ცვლილება არ მოხდა ქვეყნისა და ერის ცხოვრებაში, მაშინ არც ამ ახალი წლის მიმართ გამოიჩენს პოეტი ლმობიერებას:

და მაინც ცეცხლად მოგედებით,
დაგსვამთ ცეცხლის ზედადგარზე,
არც ჩვენ სახლში შემოგიშვებთ,
არც გაგიშვებთ სხვათა კარზე.
ჩვენი ხელით ჩაგაქვავებთ,
დაგკლავთ ძმათა საფლავებზე,
ცხარე ცრემლით აგატირებთ
მათი სისხლით მორწყულ ველზე...

ასე მუქი ფერებით უხატავდა ცხოვრებას პოეტი ნორჩ მკითხველებს და არასოდეს უკარგავდა მათ იმედს. თვით შიო მღვიმელსაც სწამდა, რომ უკეთესი მომავალი დაუდგებოდა სამშობლოს და ბავშვებსაც აიმედებდა: „ყრმებს გაზაფხული გიდგებათ, კარგი დრო გელით

ჟღერისა“, იმედით უყურეთ მომავალს, ცხოვრების განთიადსო:

უმღერეთ, შვილო გაზაფხულს,
უმღერეთ კოხტა იებსა,
ცაზე ამოსულ ცისკარსა
და განთიადის სხივებსა.

შიო მღვიმელის მოქალაქეობრივი შეხედულებების ღრმად შესაცნობად საკმარისი არ იქნება მხოლოდ მისი საბავშვო პოეზიის შესწავლა. მართალია, საბავშვო პოეზია შიოს შემოქმედების ძირითადი მხარეა და მასში პოეტის შემოქმედებითი სტიქიის ყველა თვისებაა გამომჟღავნებული, მაგრამ ბავშვებთან მაინც ისე აშკარად და გაბედულად ვერ ლაპარაკობდა იმ დიდ საჭირბოროტო პრობლემებზე, რომლებიც აწუხებდნენ მას, როგორც მოქალაქეს, როგორც ერის ღირსეულ შვილს.

მართალია ისიც, რომ შიო მღვიმელი არ უმალავდა ბავშვებს საზოგადოებრივი ცხოვრების უკუღმართობას, მაგრამ ამ უკუღმართობის შესახებ არც ისე თავისუფლად ესაუბრებოდა თავის ცქრიალა მკითხველებს. პოეტი ერიდებოდა ბავშვთა სპეტაკი გრძნობების მძიმე განცდებით დატვირთვას, იგი, უფრო ხშირად, გადაკვრით, მოიარებით ჩამოუგდებდა საუბარს, აღუძრავდა ინტერესს, გაუღვიძებდა ცნობისმოყვარეობას და, სანამ დრო არ დაუდგებოდა, სანამ არ წამოიზრდებოდა, მასთან ყველაფერზე აშკარა საუბარს ერიდებოდა:

სანამ ყრმა ხარ, დაეწაფე
ლაღი მთების ბუნებასა,
თორემ როცა გაეცნობი
ქვეყნის ჭირს და ცდუნებასა,
მაშინ, მაშინ, ეჰ, რადა ვთქვა,
დრო იქნება შეიცვალოს,
ნუ იფიქრებ ამაზედა,
მამაშენი გენაცვალოს!.

პოეტის სულიერი ტკივილები, მისი მოქალაქეობრივი გატაცება რელიეფურად მოზრდილთათვის დაწერილ ლექსებში მჟღავნდებოდა. ამ ლექსებში აგრძელებდა სავსებით ქართული კლასიკური პოეზიის პატრიოტულ და ჰუმანურ ტრადიციებს.

პოეტი ამ ლექსებში მგზნებარე პატრიოტი და ოპტიმისტია. სამშობლოს მძიმე ხვედრით გული ნაღველით აქვს სავსე, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ ეძლევა. მისთვის უცხოა უკიდურესი პესიმიზმი, რადგან იცის, რომ „დრო მუდამ ცვალებადია“... რომ „ნათელი მოეფინება, რაც მოცულია ბნელითა“. ამ რწმენით გამხნევებული პოეტი ასე მიმართავს მუხთალ ბედს:

კუბოს რომ ვიწვე უძლური,
მელოდეს დამიწებაო,
მაინც შევსძახებ ქვეყანას:
დაიცა, გათენდებაო!

ან კიდევ:

ნეტა რას ნაღვლობ, ვაჟკაცო,
რას ჩაღვრემილხარ ძალზედა,
თავი აიღე, გამხნევდი,
იფიქრე მომავალზედა.
შუბლი ნუ შეგიჭმუხნია,
ცრემლი ნუ მოგდის თვალზედა,
ხანჯალი გააკრიალე,
ხელი დაიდე ხმალზედა.
ნუ ასდევ ქვეყნის სიმუხთლეს —
ბედის უკუღმა ტრიალსა,
დრო მოვა ნახავ ჰაერში
ჩვენი დროშების ფრიალსა!
თოფ-ზარბაზანი იფეთქებს
ტყვია დაიწყებს ბზიალსა,
მტრის გული განადგურდება,
დღეს რომ გვიძახის ტიალსა.

მეტად საგულისხმო ლექსია შიო მღვიმელის „მუხა“. ეს არის ქართული პატრიოტული კლასიკური პოეზიის შედევრი. იგი ალეგორიული ხასიათისაა. მასში გამოხატულია საქართველოს დიდებული წარსული, მისი ისტორიული ძლიერება და მომავალი აღორძინების გარდუვალობა. მუხა ძლიერების, გაუტეხლობის, დაუძლევლობის სიმბოლოა. პოეტი თვითმპყრობელობის დროის საქართველოს ძველ მუხას ადარებს, მუხას, რომელსაც გარშემო ტყე და აყვავებული მინდორი ერტყა, ახლა კი მარტოდ-მარტოა ტრიალ მინდორზე, ტყე-ჭალა შემოუკაფავთ, გარს ჭია-ღუა შემოხვევია და ტოტებსაც აღარ არჩენენ. ეს ჭია-ღუა თვითმპყრობელობაა, რომელიც ღრღნიდა საქართველოს ძლიერ სხეულს.

მაგრამ ჭია-ღუა რას დააკლებს ფესვმაგარ მუხას! კვლავ იბარტყებენ ყლორტები, ტანს აიყრიან ჭალატყედ და გარშემო შემოერტყმიან. სევდითა და ნაღვლით სავსე, მაგრამ გულგაუტეხელი მოხუცი მუხა კლდეს გამოესაუბრება და თავის წუხილს გაუზიარებს:

კლდეო, შენა ხარ მოწამე
ჩემის სიცოცხლის დენისა,
ჩემის წარსულის ავ-კარგის,
ვარამისა და ლხინისა.

და მოყვება მუხა საუბარს თავის ლამაზ წარსულზე. ამ საუბარში დიდია წუხილი და სევდა, მაგრამ ასევე ძლიერია მასში მომავლის რწმენა. მისი გული „გასალდა, მომავალს ელის კვლავ იმედ-გაუქრობელი“.

ოპტიმიზმი განსაკუთრებით ძლიერად სჩქეფს კლდის პასუხში:

შენს მოხუცებულ გულ-მკერდზე
ბევრჯელ გვინახავს იარა,
თავს გრგვინვით ელვა-ქუხილში
ათასჯერ გადაგიარა;
ყველამ გიმტყუნა, გიმუხთლა,
ვინც საძმოდ დაგეზიარა,
მაგრამ ის დარჩი, რაც იყავ,
შენ არა დაგკლებია-რა!
. . . . . . . . . . .
დეე, მას ჰქონდეს გულს შიში,
ვინც ლაჩარია, მხდალია,
ვინც თვის ხანმოკლე სიცოცხლე
უზრუნველობით გალია.
. . . . . . . . . . . . . .
რას დაგაკლებენ?.. ყლორტები
იბარტყვენ, დაიზრდებიან,
ტანს აიყრიან ჭალა-ტყედ,
გარშემო დაგადგებიან.
კვლავ აჰყვავდება სიცოცხლე
შენ შორის ედემურადა,
ტირიფი, წაბლი და რცხილა
გადგეხვევიან ძმურადა.
კვლავ მოიჩრდილებს შენს ქვეშა
ლაღი ირემი ჩხიანი,
ქურციკი, ჯიხვი, კანჯარი
და შველი სანდომიანი?.

აქ დიდებულად არის აღდგენილი საქართველოს წარსული, მისი იმდროინდელი ვითარება. აქვე შეუდარებლად არის განსჭვრეტილი მისი ბრწყინვალე მომავალიც.

პოეტის ამ ოპტიმიზმს ასაზრდოებდა ის, რომ ხედავდა—საქართველო მთლად დაცემული არ იყო, რომ სამშობლოს „კიდევ ჰყვანდნენ ვაჟკაცნი, ძუძუთ ნაზარდი შვილები, გულჯაგრიანი მებრძოლნი, უფრო გულადი გმირები“, რომელთაც შესწევდათ უნარი დაემსხვრიათ უსამართლობის ბორკილები. შიო მღვიმელი თავის გმირებს ხელში იარაღს აძლევდა, საბრძოლველად აქეზებდა.

იბრძოლე, ვიდრე მახვილად
გიჭრის ჭკუა და გონება...
...თორემ ვერაფერს გახდები
მუდარითა და ლოცვითა,
და კვლავ შეგვეპარება
გულის სალოლნელად ცოცვითა.

არც ქართველი ვაჟკაცები იყვნენ ხელმოცარულნი... ისინიც მზად იყვნენ მხნედ დაეცვათ სამშობლო, თავი შეეწირნათ მისი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. პოეტის პატრიოტთა საბრძოლო ალთქმაში დატყვევებული იყო ქართველ ისტორიულ გმირთა რაინდული სული,—იმ გმირთა სული, რომელთაც მრავალჯერ გადაურჩენიათ სამშობლო განსაცდელისაგან, დამპყრობელთა მიერ განადგურებისაგან:

მხამად შემერგოს დედის რძე,
მხამად მომედოს პირზედა,
ქვეყანამ გამათახსიროს
ცა-დედამიწის ძირზედა...
ბრაზად გადმექცეს ამაგი
ჩემი მშობელი დედისა,
იმის დღეში ჩავვარდე,
მომშჩივნო გავხდე ბედისა,
ნულარც შევჭამო ნათესი,
მოხნული ხარის ქედისა, —
თუ სახლში ჯდომა ვარჩიო,
ოდეს ხმა მესმას მტერისა,
თუ მონაწილე არ გავხდე
სამშობლოს ბედის წერისა.

ქართველ ვაჟკაცთა ტრადიციული გმირობა ნათელივით ადგია თავს ჩვენს ლამაზ სამშობლოს. იგი ზრდის და ალაგზნებს ყოველი დროის გმირს, რომელიც მზად არის მსხვერპლად შესწიროს სიცოცხლე სამშობლოს კეთილდღეობას. შიო მღვიმელის გმირიც ამ რაინდული სულის სისპეტაკითა და სიმტკიცით არის აღბეჭდილი:

ცა რისხვად მომიტრიალდეს,
მიმუხთლოს ბედმა მწარემა,
მზე გამიშავდეს, უკუღმა
პირი იბრუნოს მთვარემა;
სატრფომ მიწოდოს ლაჩარი,
პირისპირ მოუბარემა,
შუა გამიპოს გულმკერდი
ხანჯალმა მოელვარემა;
ნუღარ მიმიღოს სამიწედ,
ჩემმა სამშობლო მხარემა,
ნუღარც სხვის მიწა-და-წყალმა,
ნუღარც სხვის არე-მარემა,
თუ ტყვიას ზურგი ვაჩვენო
გულისწილ ბრძოლის ველზედა...

ასეთი შეურიგებელი და დაუნდობელი იყო „ნაზი ბუნების" პოეტი სამშობლოს მტრის—მეფის თვითმპყრობელობის მიმართ. როცა 1917 წლის რევოლუციამ იფეთქა, პოეტი მას აღფრთოვანებით მიეგება, რადგან მასში მონობის ბორკილების დამსხვრევისა და ეროვნული თავისუფლების იდეალის განხორციელების საწინდარი დაინახა. იგი მოუწოდებდა რევოლუციის ქარიშხალს არ ჩამდგარიყო, სანამ ყოველგვარი ბოროტება არ წაილეკებოდა:

დაჰკა, დაჰკა, დაუბერე,
აღარ დადგე, ქარიშხალო,
რაც წამხდარი ხეებია,
არც ერთი არ შეიბრალო.
ამოაგდე ძირიანად,
ფესვიანად, თესლიანად,
თავზე ცეცხლი დააყარე
გესლიანებს გესლიანად!.

სხვანაირი იყო შიო მღვიმელის დამოკიდებულება სოციალური მოვლენებისადმი. ამ შემთხვევაში წინა პლანზე გამოდიოდა მისი „ნაზი ბუნება", ჩვენი კლასი-

კური მწერლობის ის ადრინდელი ჰუმანიზმი, რომელსაც საფუძვლად ედო ეროვნული მთლიანობის იდეა. პოეტი ახალ ეპოქაში ცხოვრობდა,—პოლიტიკური და კლასობრივი ბრძოლის ეპოქაში, მაგრამ კლასობრივ ბრძოლას არ თანაუგრძნობდა, არ იყო მომხრე კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებისა, ისევ, როგორც მისი მასწავლებლები—ქართველი სამოციანელები. ხალხოსანთა მებრძოლი იდეები პოეტმა ეროვნულ-გამათავისუფლებელთა ჰუმანიზმს დაუკავშირა. შიო მღვიმელს არ განუცდია ღრმა მსოფლმხედველობრივი ევოლუცია.

შიო მღვიმელის მოღვაწეობის ეპოქაში მარქსიზმი ფართოდ გავრცელებული რევოლუციური მსოფლმხედველობა იყო. კლასობრივი ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებდა. შიო მღვიმელი მაინც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეროვნული ჰუმანიზმის გავლენაში დარჩა. პოეტი ჰგმობს სოციალურ უთანასწორობას, თანაუგრძნობს მშრომელი მასების გაჭირვებას, მაგრამ მათ, თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, არ აქეზებს ექსპლოატატორთა, მდიდართა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის. პოეტი ვერ ერკვევა კლასობრივი ბრძოლის მიზეზებში და დრომოჭმული უტოპიური ჰუმანიზმის ტყვედ რჩება. იგი ფიქრობს, რომ შთაგონებით შეიძლება ადამიანური გრძნობები აღძრას მდიდარში, გამოიწვიოს მასში ღარიბისადმი თანაგრძნობა.

შიო მღვიმელს, როგორც ზევითაც დავინახეთ, ებრალება ღარიბი, მაგრამ მდიდარიც და ღარიბიც ერთი სხეულის ნაწილად მიაჩნია და ერიდება მათ შორის კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებას. ამიტომ, იმის ნაცვლად, რომ ღარიბს უჩვენოს საკუთარი კეთილ-

დღეობისათვის ბრძოლის გზა, იგი მდიდრებს მიმართავს:

აილე, გაუნაწილე,
ვისაც ჰშია და სწყურია,
ვისაც სიცივე აწუხებს,
საბანი არა ჰხურია,
სწყევლის გაჩენის წუთებსა
და ბედის უმადურია.

შიო მღვიმელის „აილე, გაუნაწილე“ იგივეა, რაც აკაკი წერეთლის: „რად არ მეტყვი: „ძმები ვართ, მოდი, მომხვიე ხელი!“. შიო მღვიმელი ძალიან კარგად ხედავს მშრომელი ხალხის მძიმე ხვედრს. ამ ხვედრს იგი რეალისტური უშუალობითა და შეულამაზებლად ხატავს—

...უფრო მეტს ვიტყვი: ამ ქვეყნის
საბელ-წაბმული ფური ვარ,
მოვა, თუნდ დამლევს, თუნდ შემჭამს,
ვისაც ვშივარ და ვწყურივარ. —

მაგრამ დასკვნების გამოტანის დროს ლმობიერებას იჩენს. მისი რადიკალიზმი ამ სფეროში ბედშავის ბედის გაზიარებაზე შორს არ მიდის. პოეტი მზად არის მსხვერპლი გაიღოს, გაიზიაროს სხვისი გაჭირვება, მაგრამ მხარს არ უჭერს კლასობრივ ბრძოლას:

ნეტავი ვიყო ცვარ-ნამი,
ვარდზე დაყრილი დილისა,
წამლად სახმარი, მკურნალი
ბედ-შავის, დავრდომილისა,
ნეტავი ვიყო ოცნება
უმანკო სიყვარულისა;
ყველგან მავალი, ვით სხივი
მთვარისა გაბადრულისა, —
რომ შემოვევლო ქვეყანას,
მთა-ბარი შემოვვიარო,
ყველას დარდი და ვარამი
შუაზე გავიზიარო.

ამ შემთხვევაში შიო მღვიმელი მიმართავს იმავე საშუალებას, რასაც საბავშვო ლექსებში. როცა ელო თავის კაბას აძლევს ღარიბ მელოს, ან კიდევ ქეთო ევედრება დედას წყალობაანთ ობოლ საბასაც დაუკრას ბედის-კვერი, მას დააკლოს ერთი ხელი წინდა და ქალამანი და საბას მისცეს,—ამას კიდევ აქვს აზრი. იგი ზრდის ბავშვში კეთილშობილებას, გულკეთილობას. მაგრამ, როცა საქმე კლასობრივ საზოგადოებაში სოციალურ წინააღმდეგობებს ეხება, აქ ამ საკითხის გადაჭრა არ შეიძლება „შთაგონების", სიბრალულის გამოწვევის გზით. ეს არ შეიძლება არც საბავშვო ლიტერატურაში და, მით უფრო, არ შეიძლება მოზრდილთა ლიტერატურაში.

გლეხის პირით პოეტი მიმართავს მებატონეს და ევედრება თავი დაანებოს მუქთახორობას, პატიოსან შრომას მოჰკიდოს ხელი, რადგან შრომით მოპოებული ლუკმა უფრო ტკბილია.

მო, ჩემთან, ოფლით დაღვარე,
ლუკმა შეჭამე შრომითა,
გულს ნუ რყვნი, ხორცს ნუ ალაღებ
მუქთად მთელი დღე ჯდომითა...

ამ მოგვიანებულ უტოპიზმს, ცხადია, არ შეიძლებოდა რაიმე არსებითი გავლენა ჰქონოდა იმ ეპოქაში, როცა ცხოვრების ვითარებამ ჩვენი ლიტერატურის წინაშე პატრიოტიზმის გვერდით სოციალური თავისუფლებისა და კლასობრივი ბრძოლის, ცხოვრების რევოლუციურად გარდაქმნის მოტივები წამოაყენა. შიო მღვიმელის ამ პოეზიას არა ჰქონდა საჭირო რეზონანსი სწორედ იმიტომ, რომ იგი ცხოვრობდა რევოლუციების ეპოქაში და ადრინდელი უტოპიური იდეებით საზრდოობდა.

ეს იყო მთავარი მიზეზი იმისაც, რომ შიო მღვიმელი, როგორც პოეტი-მოქალაქე, ისეთივე აქტუალური და პოპულარული არ იყო, როგორც საბავშვო პოეტი.

ამით, რასაკვირველია, სრულიადაც არ მცირდება შიო მღვიმელის, როგორც საბავშვო პოეტის, ღირსება და მნიშვნელობა. მისი ჰუმანიზმი და პატრიოტიზმი საბავშვო პოეზიაში დღემდე ინარჩუნებს უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობას.

პატრიოტი პოეტი, რომელიც მთელს სიცოცხლეში ოცნებობდა საქართველოს თავისუფლებაზე, მის ეკონომიურ და პოლიტიკურ აღორძინებაზე, უდიდესი აფრთოვანებით შეხვდა ოქტომბრის რევოლუციას საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში მან მრავალი წლის ოცნებათა განხორციელება დაინახა, და მთელი გულით მიულოცა:

ჩემო ტკბილო საქართველოვ,
მოგილოცავ დღეის-დღესა;
მონობიდან თავდახსნილი
აღარ ისმის შენი კვნესა,
თუ რამ გჭირდა სიდუხჭირე,
წყალს გაჰყვა და გაილესა,
შენს ნაეკლარ ნიადაგზე
თა-ვარდი დაითესა.

პოეტის ჩანგს აღარ აწუხებდა სევდა და კაეშანი. მის სიმღერაში ისმოდა ბედნიერი ადამიანის ხმა, სასიხარულო განცდები. იგი აფრთოვანებით შეჰყურებდა სოციალისტური მინდვრების უხვ მოსავალს:

დამშვენდებიან ნაყოფით
ყველგან ნათესი ველები
და მეტად გალაღდებიან
მშრომელთ მკლავი და ხელები,

კვლავისთვის უფრო მხნედ დახვნენ
ტრაქტორით ხოდაბუნებსა
და აავსებენ მოსავლით
ჯერ ბელლებს, მერე წნულებსა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ პირობებში მხცოვანი პოეტი ახალგაზრდული ენერგიით აგრძელებდა შემოქმედებითს მუშაობას. მას უსაზღვროდ იტაცებდა ჩვენი ქვეყნის ბედნიერ ბავშვთა ლაღი ცხოვრება და სიკვდილის წუთებამდე უდიდესი შთაგონებით უმღერდა მათ. პოეტი საფლავში ისე ჩავიდა, ვერ გაძლა ბავშვების სიყვარულით.

ბავშვებსაც უზომოდ უყვარდათ თავიანთი პოეტი და ამ უდიდესი სიყვარულის ნიშნად მას „ძია შიოს" უწოდებდნენ. ეს სახელი სიყვარულთან ერთად იმ უშუალო სულიერ კავშირსაც გამოხატავდა, რომელიც თავიდანვე არსებობდა პოეტსა და ბავშვებს შორის.

შიო მღვიმელი კვლავინდებურად საყვარელი და მახლობელი პოეტია საბჭოთა ბავშვებისათვის.

იგი ასეთად დარჩება მუდამ!...

## შ ი ნ ა ა რ ს ი

| | |
|---|---|
| | გვ. |
| შესავალი | 5 |
| ცხოვრება | 9 |
| შემოქმედება | 25 |

---

რედაქტორი ირ. აბაშიძე

ყდა, ტიტული, თავსართები და ქვესართები მხატვარ
დავით ქუთათელაძისა

ტექ. რედაქტორი ნ. კაკუშაძე

---

გადაეცა წარმოებას 8/X 46 წ. ხელმოწერილია დასაბეჭ. 10/I-1947 წ.
უე 00206. შეკვ. № 70. ტირაჟი 5000. სასტამბო ფორმათა
რაოდენობა 6 ფ. 12 გვ., ზომა 5×8.

---

[redacted] პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი ლენინის ქ. № 28.

Детиздат

Тбилиси
1947 г.

ფასი 5 მან.